

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



თინათინ დაღუნდარიძე

ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები:
მიზეზები და დაძლევის გზები

სამაგისტრო პროგრამა - ეკონომიკა
ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ჩიქოზავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო საინტერესო ხდება ისეთი საკითხების შესწავლა, როგორცაა ეკონომიკური ციკლები, მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეში, მრავალმხრივაა შესწავლილი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების მიზეზები და შედეგები, მეცნიერ-მკვლევარებს შორის არ არსებობს კონკრეტული პასუხი კითხვაზე, თუ რა არის რეალურად კრიზისის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი.

საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2008-09 წლის კრიზისის შემდგომ. დღესდღეობით კი შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლის მოვლენებიდან გამომდინარე უფრო დიდი მნიშვნელობაც შეიძინა. მაშინ, როცა მწიფდება თვისებრივად სრულიად ახალი სახის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, რომელიც როგორც ეკონომისტები პროგნოზირებენ, სიღრმით და სიმწვავეთ ყველა წინამორბედს გადააჭარბებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხის მნიშვნელობის სწორად გააზრებას და შესწავლას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის წარმოშობის მიზეზების შესწავლა, მათი შედეგების გაანალიზებას და კრიზისის დაძლევის გზების ძიებას.

ნაშრომში წამყვან ეკონომისტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით მიმოხილულია ეკონომიკური კრიზისების ბუნება და თავისებურებები. ძირითადად საუბარია XXI საუკუნის გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისსა და მის გავლენაზე საქართველოს ეკონომიკაზე. ასევე, კვლევით ნაწილში ნაჩვენებია კრიზისის ზემოქმედება ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე. საუბარია საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგებზე და მოსალოდნელი კრიზისის საფრთხეებსა და მათი დაძლევის გზების ძიებაზე.

Abstract

In the modern stage of economic development It is of particular interest to study the character of economic cycles, its reasons and consequences. Despite of the vast amount of research has been conducted in XXI century, economists still has not been achieved a complete consensus or particular answer of the question, what is the main determinant of the crisis.

The urgency of the issue has become more acute after Global financial and economic crisis of 2008-09. Moreover, it has greater importance due to the events of 2020. Unexpected events of the current 2020 year reveal that a qualitatively new kind of crisis is brewing and as economists predict, this one will surpass all its predecessors with its depth and severity. Current events show that understanding and studying of the issue properly is crucial.

The aim of the paper is to study the causes of the economic and financial crisis, to analyze their results and to find ways to overcome the next one. The paper also reviews the nature of economic crises based on the opinions of leading economists. Study mainly is about the global financial and economic crisis of the XXI century and about its impact on Georgian economy. The researching part of the paper shows the impact of the crisis based on the key macroeconomic indicators. Also, paper talks about the results of the anti-crisis measures taken by the Georgian Government and the National Bank and about the danger of the impending crisis and the search for ways to overcome the new one.

სარჩევი

თავი I თეორიები ეკონომიკური კრიზისის შესახებ.....	8
1.1. ეკონომიკური კრიზისების ბუნება, მათი მიზეზები და თავისებურებები	8
1.2. თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და მისი გამომწვევი მიზეზები.....	21
თავი II გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და საქართველო	27
2.1. თანამედროვე გლობალური კრიზისის გავლენა საქართველოზე	27
2.2. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი საქართველოში.....	33
თავი III მოსალოდნელი კრიზისები და მათი დაძლევის გზები.....	47
3.1. ანტიკრიზისული გეგმა და სტაბილიზაციის პოლიტიკა	47
3.2. მოსალოდნელი კრიზისების საფრთხეები.....	51
დასკვნა.....	69
გამოყენებული ლიტერატურა	71
დანართი	73

შესავალი

ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ თანამედროვე პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები და მათი ბუნებაა. გლობალიზაციის პირობებში ქვეყნების ეკონომიკები სულ უფრო დამოკიდებული ხდებიან ერთმანეთზე, რაც არსებულ კრიზისებს უფრო ღრმა და მასშტაბურ ხასიათს სძენს. მიუხედავად არაერთი გამოვლილი კრიზისისა და უამრავი კვლევის არსებობისა, კრიზისები ხასიათდებიან ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული ნიშნებით და ეს ართულებს მათ შესწავლასა და შემდგომ პროგნოზირებას.

ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ციკლური განვითარება. „ეკონომიკური ციკლის“ ცნების ქვეშ იგულისხმება ზრდისა და დაცემის ეტაპების ურთიერთმონაცვლეობა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის წისვლას ან პირიქით, შეფერხებას. ციკლები თანმიმდევრულად მეორდება, თუმცა მათი ხასიათი და დროითი ხანგრძლივობა ერთმანეთისგან განსხვავებულია. დროით ჭრილში შესაძლოა გამოიყოს სეზონური, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ციკლები. ხასიათის მხრივ კი ციკლების რყევა დამოკიდებულია მაკროეკონომიკური სიდიდეების: წარმოების მოცულობის, ფასების დონის და დასაქმების რყევის დონის ცვლილებაზე.

ციკლური განვითარება მუდმივად აყენებს ეკონომიკას კრიზისის წარმოშობის საფრთხის წინაშე. საბაზრო ეკონომიკის მთავარ ხარვეზად ეკონომისტები სწორედ აღნიშნული საფრთხეს მიიჩნევენ.

ეკონომიკური კრიზისის დროს ხდება წარმოების დონის მკვეთრი ვარდნა, იზრდება უმუშევრობა, ვინაიდან კოტრდება საწარმოები და ეცემა მოსახლეობის ცხოვრებიდ დონე. აღნიშნული პროცესი მჭირდოდაა დაკავშირებული ფინანსური სექტორის კრიზისთან, რაც მთელს ეკონომიკას დაღმავლობის ფაზაში აქცევს და იგი შესაძლოა დეპრესიაშიც გადაიზარდოს.

ეკონომიკური ციკლების შესწავლის საჭიროება მე-19 საუკუნიდან დადგა და მას შემდეგ განვითარდა არაერთი თეორია, რომლებიც საკმაოდ მაღალ დონეზეა შესწავლილი,

განსაკუთრებით აქტუალურია კვლევაში მათემატიკური აპარატის გამოყენება, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით ცდილობს გააკეთოს პროგნოზი, თუმცა ციკლების ბუნება იმდენად რთული და მრავალწახნაგოვანია, რომ არ არსებობს მათი გამომწვევი მიზეზების ცალსახა ახსნა და გარკვეულწილად ბუნდოვან საკითხად რჩება.

პ. სამუელსონი და ვ. ნორდჰაუსი აღნიშნავენ, რომ არ არსებობს ორი ერთნაირი ციკლი. მათი არარაგულარული ხასიათის გამო კი შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ მომავალი ეკონომიკური ციკლის ხანგრძლივობა და ხასიათი. ყველაფერს ართულებს ისიც რომ, ეკონომიკური კრიზისები გავლენას ახდენენ ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე.

პასუხი იმაზე, თუ რატომ დგება საბაზრო ეკონომიკა რყევების წინაშე, რომელიც შესაძლოა მწვავე კრიზისში გადაიზარდოს, ამის ცალსახად არ არსებობს. პოლ სამუელსონმა შემოგვთავაზა ეკონომიკის რყევებთან დაკავშირებული თეორიების ორ საშინაო და საგარეო ფაქტორებად დაყოფა. საშინაო თეორიის მომხრეები ეკონომიკის სისტემის შიგნით ჩაშენებულ მექანიზმში ეძებენ კრიზისის გამომწვევ ძირითად მიზეზებს. საგარეო თეორიის მომხრეები კი ეგზოგენური ფაქტორების ზემოქმედებას თვლიან მთავარ გამომწვევ ფაქტორად.¹

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კრიზისი თავისი ბუნებით ახალი ფაზის, აღმავლობის საწყისად გვევლინება.

მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზანია თანამედროვე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მისი დაძლევის გზები ძიება. ნაშრომში სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიაზე დაყრდნობით განხილულია მსოფლიოში მიმდინარე კრიზისების გამომწვევი მიზეზები და გაანალიზებულია კრიზისის გავლენა საქართველოზე.

პირველ თავში მომოხილულია ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა თეორიები და ეკონომისტთა შეხედულებები. ვინაიდან აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით უამრავი სხვადასხვა მოსაზრება და კვლევა არსებობს, ნაშრომში

¹ Samuelson P., Nordhaus W., “Economics”, 2010 გვ.2-3

განხილულია იმ ეკონომისტთა შეხედულებები, რომელთა მოსაზრებები მეინსტრიმს წარმოადგენს.

მეორე თავში საუბარია იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა თანამედროვე ეკონომიკურმა კრიზისმა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე. რაოდენობრივი, დინამიკური ანალიზის სახით კი ნაჩვენებია მსოფლიო კრიზისის გავლენის ზემოქმედება და შედეგები საქართველოს ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ბოლო, მესამე თავში გაანალიზებულია მოსალოდნელი კრიზისის საფრთხეები, კერძოდ საუბარია 2020 წლის გლობალურ კრიზისზე, რომლის კონკრეტული შედეგები ჯერ ცხადად არ ჩანს, თუმცა არსებობს გარკვეული გზები და მოსაზრებები რათა შესაძლებელი გახდეს მისი მძიმე შედეგების თავიდან არიდება მსოფლიოში და საქართველოში. ასევე ამ თავში შეფასებულია საქართველოში ანტიკრიზისული ღონისძიებების ეფექტიანობა.

თავი I თეორიები ეკონომიკური კრიზისის შესახებ

1.1. ეკონომიკური კრიზისების ბუნება, მათი მიზეზები და თავისებურებები

ეკონომიკური ციკლები და მასთან დაკავშირებული თეორიები ხშირი განხილვის საგანია. მიუხედავად უამრავი კვლევისა, დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ციკლური რყევების გამომწვევი მიზეზების შესახებ. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა XX-XXI საუკუნეებში მსოფლიოს წინაშე წარმოშობილი მწვავე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის წყალობით. წინა საუკუნეებში პერიოდულად ფიქსირდებოდა კრიზისები, თუმცა ნაკლები სიმწვავესა და სიღრმის. ბოლო პერიოდში კი აღნიშნული საკითხი მწვავედ დადგა გლობალური სამყაროს წინაშე. ეკონომისტებმა დაიწყეს აქტიური მსჯელობა და თეორიების ჩამოყალიბება. მათი მოსაზრებები ხშირად იცვლებოდა და ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა.

ტრადიციული კლასიკური სკოლის კრიზისების თეორიას თუ დავეყრდნობით კრიზისები დროებითი ხასიათისაა, ვინაიდან სრულყოფილი კონკურენციის პირობებში მოქმედებს ბაზრის თვითრეგულირების პრინციპი. წარმოება წარმოშობს საკუთარ მოთხოვნას და მოქნილი ფასების წყალობით ნებისმიერი უეცრად წარმოშობილი დისპროპორცია ავტომატურად რეგულირდება. ბაზრის სრულყოფილების არარსებობაში არაერთხელ დარწმუნდნენ ეკონომისტები ამიტომ აღნიშნულ თეორიას ეკონომისტთა უმრავლესობა აღარ ეყრდნობა. თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტი ანვარ შეიხი ამ ეკონომიკურ ორთოდოქსს, სრულყოფილი ბაზრის, სრულყოფილი ცოდნისა და მოლოდინების არსებობას სრულყოფილი ნონსენსის სამეულსაც კი უწოდებს.²

² <http://european.ge/> Anwar Shaikh “Globalization and the myth of free trade (2007)

³ <https://www.youtube.com/watch?v=-e8rt8RGjCM> Cliff Bowman (2009)

კლასიკოსებისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ მარქსის მიმდევრებს. ამ თეორიის მიხედვით კრიზისის მთავარ წარმომშობ მიზეზად მიჩნეულია კერძო საკუთრების არსებობა და კონკურენციის პირობებში მოქმედი საბაზრო სისტემის ბატონობა: კაპიტალისტური სისტემა ქმნის წინააღმდეგობას. საზოგადოებრივად წარმოებული საქონლის მითვისება ხდება კაპიტალისტური ფორმების დამსახურებით. კაპიტალისტური ეკონომიკა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. იგი წარმოქმნის ანარქიას ეკონომიკაში. მეწარმეებისთვის ბუნდოვანია მოთხოვნის რეალური დონე და მაღალი რისკის პირობებში უწევთ ფუნქციონირება. საზოგადოების მოთხოვნები კი არაპროგნოზირებადია. ცვალებადია ფასები და ბაზარი არასრულყოფილია. ეს მიზეზები წარმოქმნის ჭარბწარმოების კრიზისს. მარქსის თეორია მიდიოდა იმ დასკვნამდე რომ კრიზისის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მოგების ნორმის შემცირება იყო. მარქსს ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევს კომუნიზმის თეორეტიკოსად, თუმცა თანამედროვე ბრიტანელი ეკონომისტი კლიფ ბოუმანი ამბობს რომ მისი თეორიები დღევანდელობაშიც გარკვეულწილად სასარგებლოა, ვინაიდან მარქსის შრომების 95% სწორედ კაპიტალისტური სისტემის ანალიზს ეყრდნობა.³

კრიზისების და კერძოდ ჭარბწარმოების კრიზის შესახებ მილტონ ფრიდმანმა შეიმუშავა ფულადი თეორია, რითაც საბანკო პროცენტის განაკვეთის რყევა კრიზისის მთავარ გამომწვევ მიზეზად დაასახელა. ფრიდმანის აზრით როდესაც ეკონომიკაში კრიზისია ეს იწვევს საბანკო კრედიტების შემცირებას და შესაბამისად იზრდება საპროცენტო განაკვეთის დონე. ნაღდი ფულის მასის შემცირების შედეგად კი იწყება ჭარბწარმოების კრიზისი.

ფრიდმანისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს კეინზს: სასესხო პროცენტის ნულამდე შემცირების შემთხვევაშიც კი შეუძლებელია ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა, რადგანაც ეროვნული ეკონომიკის ბედს განსაზღვრავს მეწარმეთა მოგება, და არა საპროცენტო განაკვეთი („ლიკვიდურობის ხაფანგი“). კეინზის მიხედვით ეკონომიკური ციკლის გამომწვევი ერთობლივ მოთხოვნასა და გამოშვებაში ცვლილებები იყო. მისი განმარტებით,

⁴ <https://www.youtube.com/watch?v=fGoB3T1kTW0>

ერთობლივი მოთხოვნა/მიწოდების ცვლილება განაპირობებს ინვესტიციების არასტაბილურობას. კეინზიანური მოდელი ფართოდ გამოიყენებოდა და იგი თავის მსჯელობაზე დაყრდნობით ასაბუთებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას. თუმცა მოგვიანებით აშშ-ში წარმოქმნილმა მოვლენებმა კეინზიანური ანალიზი ეჭვქვეშ დააყენა. მისი თეორია ვეღარ პასუხობდა მდგომარეობას რომელიც 1980-იან წლებში შეიქმნა. მაღალ ინფლაციას კეინზიანური თეორია ვერ უმკლავდებოდა. სტაგნაცია სტაგფლაციაში გადაიზარდა და ფილიპსის მრუდის კავშირიც ინფლაციასა და უმუშევრობის დამოკიდებულების შესახებ ეჭვქვეშ დადგა. მოგვიანებით ფრიდმანმა (1968) და ფელპსმა (1967,1968) დაასაბუთეს არაპროგნოზირებად ინფლაციასა და უმუშევრობას შორის კავშირი.⁴

კეინზის ნაშრომების გარდა არასაკმარისი მოხმარების თეორიამ ასახვა ჰპოვა ჰობსონისა და ფოსტერის შრომებში. მათი აზრით ციკლს წარმოშობს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული პროპორციის რღვევა. ეს თეორია აიხსნება ადამიანების ფსიქოლოგიური თავისებურებებით, დაზოგვისადმი მათი მიდრეკილებებით. ხდება წარმოების საშუალებებზე მოთხოვნის შემცირება და ამას მოსდევს ინვესტიციების ვარდნა. კრიზისის კვლევისას უმნიშვნელოვანესია მოგების ნომრის ანალიზი. ეკონომიკური ბუმის დროს მოსახლეობასა და მეწარმეებს შორის ოპტიმისტური განწყობა ზრდის კაპიტალის მომგებიანობის ოპტიმისტურ მოლოდინებს. შედეგად ჭარბი ოპტიმიზმი გვაძლევს ეკონომიკურ განვითარებას, სასესხო პროცენტის შემცირებას, ხელფასის ზრდას და ა.შ. მაგრამ ამ პერიოდს მოსდევს ვარდნა, რომლის დროსაც ოპტიმიზმი პესიმიზმით იცვლება და საწინააღმდეგო ეფექტი მოქმედებს. იზრდება საპროცენტო განაკვეთი და მოგების ნორმა ნულისკენ მიისწრაფვის. კეინზიანელების აზრით ასეთ დროს სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი პოლიტიკის გატარებაა საჭირო. კეინზის თეორია, რომ ციკლური რყევების

⁵ Kydland Finn and Prescott Edward, Contribution to Dynamic Macroeconomics: The Time Consistency of Economic Policy and the Driving Forces Behind Business Cycles, Advanced information on the Bank of Sweden Prize in Economic Sciences in Memory of Alfred Nobel, 11 October, 2004

მიზეზი მოხმარებაში განხორციელებული ცვლილებებია, მისი იმჟამინდელი უუნარობის გამო შეიცვალა ნეოკლასიკური „მიწოდების ეკონომიკით“ .

1976 წელს გაჩნდა ახალი მაკროეკონომიკური თეორია, რომელიც რაციონალური მოლოდინების კრილში განიხილავდა ფირმებისა და შინამეურნეობების ქცევას. აღნიშნული თეორიის ავტორია რობერტ ლუკასი და იგი კეინზისგან განსხვავებით, რომელიც აგრეგირებულ, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს ანალიზებდა, ორიენტაციას ახდენს მიკროეკონომიკურ ფაქტორებზე და იკვლევს მათ დაწვრილებით. ლუკასი ცდილობდა დაესაბუთებინა რომ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებამდე სწორედ მიკროეკონომიკური ანალიზით მივალთ, თუმცა ფაქტობრივად ამის ჩვენება ძალიან რთული აღმოჩნდა და მისი თეორია ჩიხში შევიდა.

მომდევნო პერიოდებში ვითარდებოდა ადამიანის ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული თეორიები. ერთ-ერთი პირველი ამ თეორიის განვითარებაში იყო პიგუ. მისი მსჯელობის მიხედვით კრიზისები დამოკიდებულია მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე: პესიმიზმისა და ოპტიმიზმის ცვლილებები იწვევს ეკონომიკაში კრიზისებისა და ბუმის ტალღებს.

ი. შუმპეტერისა და ე. ჰანსენის ინოვაციების თეორია ემყარება იმას, რომ ეკონომიკაში პერიოდულად ინერგება მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური ცვლილებები და შედეგად წარმოიქმნება საქონლის ჭარბწარმოება. შუმპეტერის დამსახურება საქმიანი ციკლების კვლევაში საკმაოდ დიდია. მან ანალიზის საფუძველზე დაასკვნა რომ გრძელვადიანი ციკლი თავადვე მოიცავს მოკლევადიან და საშუალოვადიან ციკლებს, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებას ახდენენ და ეს უფრო ართულებს კრიზისის მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებას.

კრიზისებთან დაკავშირებით არსებობს მეტისმეტი ინვესტირების თეორია, რომელიც შემუშავებულია ფ. ჰაიეკის, ლ. მიზესისა და რობერტსონის მიერ. ეს თეორია ამტკიცებს, რომ კრიზისის მიზეზები ეკონომიკური ზრდის პერიოდებში მეტისმეტი ინვესტირებაა. კრიზისების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად ისინი გვთავაზობენ ეკონომიკური

ბუმების დაუშვებლობას, ამისთვის კი საჭიროა საპროცენტო განაკვეთის ზრდა ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში.⁵

მოგვიანებით ნობელის პრემიის ლაურეატებმა ედვარდ პრესკოტმა და ფინ კიულანდმა რეალური საქმიანი ციკლის თეორიის შექმნით, მიზნად დაისახეს ლუკასის თეორიის ანალიზისას წარმოშობილი სირთულის დაძლევა. მათი თეორია ეყრდნობა სრულყოფილი კონკურენციისა და რაციონალური მოლოდინების დაშვებებს. რომერიც, რომელმაც რამდენიმე წლით ადრე განიხილა აღნიშნული საკითხი იგივე დაშვებებით ხელმძღვანელობდა. ეს იყო ნაშრომი, რომელშიც პირველად მოხდა რეალური საქმიანი ციკლების მოდელის აგება (Real Business Cycle Model-RBC model).

RBC თეორია ორ პრინციპს ეყრდნობა:

1. ფული ნაკლებად მნიშვნელოვანია ბიზნეს ციკლში
2. ბიზნეს ციკლს ქმნიან რაციონალურად მოქმედი აგენტები, რომლებიც რეაგირებენ

შოკებზე.⁶

რეალური საქმიანი ციკლების თეორია იყო სრულიად ახლებური მიდგომა. მის საფუძველზე დასაბუთდა რომ: ციკლების შესწავლა შესაძლებელია ზოგადი წონასწორობის დინამიური მოდელებით და რომ საქმიანი ციკლის მოდელი ადეკვატურად ახასიათებს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებებს. შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტური მოდელები.

პრესკოტი და კიულენდი იყვნენ „ახალი კლასიკოსები“, ვინაიდან ისინი მიყვებოდნენ იდეას რომ ყველა რყევას წონასწორული ხასიათი გააჩნდა. ისინი კლასიკოსების მსგავსად და კეინზისგან განსხვავებით სახელმწიფო სტაბილიზაციას არასაჭიროდ თვლიდნენ განვითარებულ ქვეყნებში, ვინაიდან მთლიანი შიდა პროდუქტის დიდი ნაწილი წონასწორობის მოდელში გათვალისწინებულია და არაა საჭირო მოდელებში დამატებით საბაზრო წონასწორობის გადახრის პარამეტრებად შეტანა.

⁵ მექვაბიშვილი ე., „თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები“. თბილისი - 2012 წ. გვ 94-98

⁶ http://www.sfu.ca/~bkrauth/econ808/808_lec5.pdf Real Business Cycles, Chapter 5 (5.1)

RBC მოდელების შემქმნელთა დიდი დამსახურებაა ის რომ მათ შეძლეს მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლების დაკავშირება და მათ შორის ორგანული კავშირის დამყარება, ემყარებოდნენ რა ქცევის რაციონალურობის, ოპტიმალური გადაწყვეტილებისა და მოგების მაქსიმიზაციისკენ სწრაფვის დაშვებებს. RBC მოდელში ეკონომიკური რყევების განმაპირობებელი მიზეზების ანალიზიდან ჩანს რომ ყველაზე დიდი წილი ტექნოლოგიურ შოკებზე მოდის (75%).

შეიძლება ითქვას, რომ პრესკოტმა და კიუდლანდმა შექმნეს რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია, როგორც დამოუკიდებელი მიმართულება და საფუძველი ჩაუყარეს ეკონომიკური კრიზისის სისტემურ შესწავლას. მოდელის ძირითადი ღირსებები მდგომარეობს შემდეგში:

- შესაძლებელი გახდა რ. ლუკასის თეორიული მოდელის პრაქტიკული რეალიზაცია.
- RBC მოდელი გამოიყენება მაკროეკონომიკური მოდელირების საფუძვლად.
- მოდელი მოთხოვნის შოკებთან ერთად განიხილავს მიწოდების შოკებსაც
- გაანგარიშებების საწარმოებლად მათ პირველად გამოიყენეს ინფორმაციული ტექნოლოგიები კვლევაში.
- მკვლევარებმა პირველად გამოიყენეს „კალიბრირების მეთოდი“, რაც გულისხმობდა მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისობას ემპირიული კვლევის საფუძველზე.
- პირველად გამოიყენეს დინამიკურ სტოქასტიკური მოდელები.

გამოშვების ზრდის ტემპის შემცირება არა ბაზრის უუნარობის არამედ ტექნოლოგიური განვითარების დაბალი ტემპის გამო ხდება და ეკონომიკური ციკლები ტექნოლოგიური შოკებითაა გამოწვეული. ამის საფუძველზე მათ დაასაბუთეს რომ ბაზარს გარედან ჩარევის გარეშე შეუძლია წონასწორობის აღდგენა

საბოლოოდ ზემოთ ჩამოყალიბებული DSGE კონფეცვიაზე დამყარებული RBC თეორია კრიზისების ახსნის ქვაკუთხედად იქცა და ასე გრძელდებოდა 20-25 წლის განმავლობაში. აშშ-ში ეკონომიკური კრიზისის მიზეზად ტექნოლოგიური ცვილები მიიჩნეოდა.

მას შემდეგ რაც რბც მეთოდოლოგიამ დიდი ადგილი დაიკავა, მკვლევარებმა მოახდინეს მოდელის ადაპტაცია უკვე პრესკოტის დაშვებების ელიმინირებით, რათა უფრო რეალისტური გაეხადათ სურათი და იგი სტოქასტიკური დინამიკური მოდელების სახელწოდებით შეცვალეს („Stochastic Dynamic General Equilibrium Macroeconomics.“). ახალ მოდელში გათვალისწინებული იყო ბაზრის არასრულყოფილება და უფრო რეალისტურ ანალიზს წარმოადგენდა. ამ ნაბიჯით კლასიკოსებისა და კეინზიანელების მოსაზრებების დაახლოება მოხდა.⁷

ეკონომიკურ კრიზისთან მიმართებაში დღესდღეობით ეკონომისტთა უმრავლესობა თანხმდება რომ მთავარი გამომწვევი რეალურ სექტორში მერყეობაა. ამ შემთხვევაში მონეტარული პოლიტიკის ახსნა რომ რყევები შემთხვევითი ეგზოგენური ცვლილებებითაა გამოწვეული ნაკლებად პოპულარული გახდა ამ კუთხით.

თანამედროვე ეკონომისტი ოლივიე ბლანშარის მოსაზრებით ეკონომიკურ ციკლებში ფინანსური სექტორის არასაკმარის როლშია პრობლემა. მისი მოსაზრებით ფინანსური მექანიზმის გარეშე კრიზისის წარმოშობის მიზეზებისა და მისი განვითარების ტენდენციის გაგება შეუძლებელი ხდება. ბლანშარის შენიშვნა უკანასკნელმა მოვლენებმა დაადასტურა. მართალია ფინანსური სექტორი დამოკიდებულია რეალურ ბიზნესზე, მაგრამ თავად ფინანსურ სექტორს დამოუკიდებლად დანაზოგებისა და რისკის გადანაწილების გზით შეუძლია გადამწყვეტი დარტყმის მიყენება ბიზნეს პროცესებზე.⁸

დღევანდელობაში ფინანსური სფეროს უზარმაზარი მასშტაბები უჭირავს. იგი საკმაოდ მოწყვლადი სფეროა და შეუძლია დიდი ზეგავლენა მოახდინოს ციკლური პროცესების ცვლილებაზე და კრიზისის განვითარებაზე. თუმცა რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრიზისის ერთადერთ გამომწვევად ფინანსური სექტორი უნდა ჩავთვალოთ.

ეკონომიკური კრიზისი მოიცავს მთელ ეკონომიკას, იგი მძაფრი და დამანგრეველი გამოვლინებით ხასიათდება და მკვეთრად აუარესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

⁷ http://www.sfu.ca/~bkrauth/econ808/808_lec5.pdf

⁸ ბლანშარი ო., „მაკროეკონომიკა“, თსუ გამომცემლობა, თბილისი - 2011, გვ 886-887

ამ პროცესის წინამძღვარი უმეტეს შემთხვევაში ფინანსური კრიზისია. მსოფლიოში კრიზისების ისტორიას თუ გადავხედავთ შეიძლება ითქვას რომ ყველაზე მწვავე და ღრმა კრიზისებს ადგილი ბოლო პერიოდში, XX-XXI საუკუნეში ჰქონდა.

ეკონომიკური კრიზისი 2 სახით შეიძლება გამოვლინდეს: ჭარბწარმოებისა და ნაკლწარმოების კრიზისები. კაპიტალისტური ქვეყნებისთვის პირველი შემთხვევა დამახასიათებელი ხოლო სოციალისტურისთვის მეორე.

ჭარბწარმოების კრიზისი იწყება საქონლის გასაღების პრობლემით, გრძელდება სასაქონლო მარაგების ზრდით, ფირმების გაკოტრებით, უმუშევრობის ზრდითა და ხელფასების შემცირებით და საბოლოოდ მიდის საფინანსო სისტემის მოშლამდე და ცხოვრების დონის დაქვეითებამდე.

პირველი კრიზისის წარმოშობა მოხდა იქ სადაც ყველაზე ადრე განვითარდა კაპიტალისტური ურთიერთობები: ინგლისში 1825 წელს. ამ დროიდან მოყოლებული 8-10 წელიწადში ერთხელ კრიზისები ხასიათდებოდა განმეორებითობით. მათ არ ჰქონდა განსაკუთრებულად მწვავე სახე და არ ხასიათდებოდნენ ხანგრძლივი პერიოდით, მოკლე დროში ხდებოდა რყევების აღმოფხვრა.

მე-19 საუკუნის კრიზისები საშუალოდ 2 წელიწადს გრძელდებოდა და მთლიანი შიდა პროდუქტის ვარდნა დაახლოებით 3%-ს შეადგენდა. მომდევნო საუკუნეში მოხდა კრიზისის სიღრმის ზრდა და მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემის დონე საგრძნობლად გაიზარდა. დროთა განმავლობაში ეკონომიკური ციკლის მახასიათებლებმა ცვლილება დაიწყო. საკმაოდ შემცირდა კრიზისებს შორის პერიოდი, თუ კი მანამდე კრიზისებს ფასების ვარდნა ახლდა თან, ახლა პირიქით ფასებმა და ხელფასებმა კრიზისის პარალელურად ზრდა დაიწყო. სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან რეგულირების ბერკეტების გამოყენებით შესაძლებელი გახდა კრიზისის დროს ეკონომიკის სტიმულირება, ხოლო ბუმის დროს ეკონომიკის გადახურების შემცირება.

უნდა აღინიშნოს რომ კრიზისი დროს ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დარგებზე ნაკლებად ზემოქმედებს. ამას გარდა ვინაიდან მომსახურების სექტორის როლი დღითიდღე იზრდება, კაპიტალის როლი შედარებით შემცირდა, რამაც კრიზისის

ხანგრძლივობაც შეამცირა. კრიზისების ხასიათმა გამოავლინა რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ბევრად უფრო მოქნილად პასუხობს რყევებს, ხოლო გიგანტები ადვილად ზარალდებიან.

1929-33 წლები განსაკუთრებით მძიმე იყო მსოფლიოსთვის. ეს იყო „დიდი დეპრესიის“ სახელწოდებით შემორჩენილი უდიდესი კრიზისი მსოფლიო ისტორიაში, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც შემდგომ არ განმეორებულა.

ომის შემდგომ (1948-49წ) აშშ-ში წარმოიშვა ჭარბწარმოების კრიზისი და მომდევნო პერიოდებში სხვა ქვეყნებშიც განმეორდა. ⁹ II მსოფლიო ომის კრიზისი განმეორდა 1957-58, 1974-75, 1980-81 წლებში, თუმცა ნაკლები სიმწვავეით. კეინზის თეორიის გათვალისწინებით და მთავრობის კეინზიანური ანტიციკლური პოლიტიკით კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის დასტაბილურება მოხერხდა.

ამის პარალელურად სოციალუსტური ქვეყნები ხასიათდებოდნენ ნაკლწარმოების კრიზისით, რაც ბიუროკრატიით და წარმოების საშუალებათა სახელმწიფო საკუთრებით იყო განპირობებული. ეს იყო სისტემა, რომელიც ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელად მიიჩნეოდა, ნელ-ნელა მოხდა ქვეყანათა უმეტესობის ახალ წყობაზე გადასვლა და ნაკლწარმოების კრიზისი აღმოიფხვრა. ეს პროცესი მე-20 საუკუნის 80-90 წლებში მიმდინარეობდა.

ომის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური კრიზისები მეტ-ნაკლებად მეორდებოდა, თუმცა განსაკუთრებული მასშტაბები არ მიუღია.

ბოლო მწვავე ფინანსური კრიზისი, რომელსაც დიდ დეპრესიასაც კი ადარებენ 2008 წელს მოხდა. უმუშევრობა მკვეთრად გაიზარდა და სახელმწიფოებს ტრილიონობით დოლარის დახარჯვა მოუხდათ რათა უდიდესი ფინანსური კრაზი აეცილებინათ თავიდან. პროცესი იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ კაპიტალისტური სისტემა და ლიბერალური მიდგომების ჭეშმარიტება ეჭვქვეშ დააყენა.

⁹იხილეთ:http://georgianencyclopedia.ge/index.php/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98

2011 წლიდან რიგ ქვეყნებში კიდევ ერთხელ გაჩნდა ფინანსური კრიზისი. ევროპის ქვეყნებში სახელწმიფო ვალის ზრდის და ბიუჯეტის დეფიციტის გამო ქვეყანათა ნაწილი დეფოლტის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა 2012 წელს მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა ევროკავშირის ფინანსური დახმარების წყალობით.

ისტორიას თუ გადავხედავთ კრიზისების უმეტესობა ფინანსურ სექტორში წარმოშობილი მწვავე მდგომარეობით იწყება და შემდგომ ედება მთელს ეკონომიკას.

პირველი კრიზისი ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე მწვავედ აისახა და მკვეთრად დაეცა გამოშვების დონე. აშშ-ში 14%, იაპონიაში 18-20%. მეორე კრიზისიც გამოიხატებოდა წარმოების მოცულობის დაცემაში თუმცა შედარებით დაბალი ტემპებით.

კრიზისების გამომწვევ მთავრად ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევდა სახელმწიფოს როგორც რეგულატორის სისუსტეს. მრავალ ქვეყანაში პირველმა კრიზისმა პრივატიზაციის პროცესის და კერძო სექტორის განვითარების დაჩქარების კუთხით დიდი როლი ითამაშა.

1929-1933 წლების დიდი დეპრესია იყო ყველაზე ხანგრძლივი, ღრმა და ყოვლისმომცველი მსოფლიო კრიზისების ისტორიაში. იგი დაიწყო ამერიკაში და შეარყია მთელი მსოფლიოს ეკონომიკური სისტემა. მწვავე რეცესიას მოჰყვა საფონდო ბირჟების კრაზი. მოვლენები რომელიც საფონდო ბირჟებზე განვითარდა „შავ სამშაბათის“ სახელწოდებით დარჩა ისტორიაში. აშშ-ში უმუშევრობის დონე 3.2%-იდან 24,9%-მდე გაიზარდა და მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი საწყის დონეს დაბრუნებოდა.

ის თუ რამ გამოიწვია დიდი დეპრესია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. გავრცელებული მოსაზრებით იგი საფონდო ბირჟების კრაზმა გამოიწვია, თუმცა ოლივიე ბლანშარის მოსაზრებით კრიზისი საფონდო ბირჟების კრაზამდე იყო დაწყებული და სხვა ფაქტორებმა განაპირობა.¹⁰ ყველაზე დიდი პოპულარობით ჯომ მეინარდ კეინზის ახსნა სარგებლობდა. მისი თეორიით საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ნაკლებობა, რომელიც მიწოდების კლებასაც იწვევდა, იყო კრიზისის გამოწვევის საწყისი. ამ პროცესს მიყავს ეკონომიკა ფირმების გაკოტრებისკენ და უმუშევრობის ზრდისკენ.

¹⁰ ბლანშარი ო., „მაკროეკონომიკა“, თსუ გამომცემლობა, თბილისი - 2011, გვ.707-711

1921 წლიდან საფონდო ბაზარზე ბუმი იყო და ეს გრძელდებოდა 1929 წლამდე. აქციების კურსი ზრდის სიჩქარე აჭარბებდა ფირმების გადახდილ დივიდენდებს და ამან მათი თანაფარდობის დაცემა გამოიწვია 1929 წელს. საფონდო ბაზარზე ფასების ინდექსი საგრძნობლად შემცირდა. ეს იყო 40 %-იანი ვარდნა. ინვესტორებმა, რომლებსაც აქციები მაღალ ფასად ჰქონდათ შეძენილი მათი გაყიდვა დაიწყეს, რამაც დაამძიმა სიტუაცია. კურსის დაეცა და კეთილდღეობა საგრძნობლად შემცირდა.

მსესხებლებს აღარ ქონდათ გადახდისუნარი და ბანკებმა გაკოტრება დაიწყეს. საბანკო სისტემისადმი უნდობლად განწყობილმა აგენტებმა ფულის ნაღდი სახით გამოყენება დაიწყეს და ბანკში არსებული სახსრები გამოიტანეს.

მილტონ ფრიდმანისა და ანა შვარცის მოსაზრებით დეპრესიის გაღრმავებაში პასუხისმგებელი იყო ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელსაც შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადაედგა. მონეტარისტი ფრიდმანი ეკონომიკურ ვარდნას ფედერალური სისტემის პოლიტიკას უკავშირებს. მისი აზრით საჭირო იყო საბანკო სისტემისთვის საკმარისი რაოდენობით ფულადი სახსრების მიწოდება, რათა არ მომხდარიყო მათი გაკოტრება. ფრიდმანის აზრით ცენტრალური ბანკის დროული ქმედების შემთხვევაში რეცესია დეპრესიაში არ გადაიზრდებოდა.

ამერიკელი ეკონომისტის პიტერ ტემინის მოსაზრება დიდი დეპრესიის შესახებ შემდეგია: დიდ დეპრესიას წინ უძღოდა აშშ-ს ფედერალური რეზერვის მიერ გატარებული არასწორი მონეტარული პოლიტიკა. ინფლაციის შემცირების მიზნით ცენტრალური ბანკი ფულის შეზღუდვის პოლიტიკას ატარებდა, მაშინ როცა ეკონომიკის ფაქტობრივი პრობლემა დეფლაცია იყო. ამ პოლიტიკამ მძიმე შედეგი გამოიღო დიდი დეპრესიის სახით.

დეპრესიიდან გამოსვლის კეინზიანურმა გზამ ამჯერად არ გაამართლა, მონეტარისრული თეორია საღ აზრთან უფრო ახლოს იდგა. თუმცა კეინზიანელები ისევ ფიქრობენ რომ რუზველტის პოლიტიკა მართებული იყო, უბრალოდ საჭირო იყო მეტი ფულის დახარჯვა ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის.

მონეტარისტებსა და კეინზიანელებს ამ შემთხვევაში პრინციპულად ერთი მიდგომა ჰქონდათ. ისინი საუბრობდნენ ფინანსურ სტიმულირებაზე. განსხვავება ის იყო რომ

კეინზი მთავრობას მოუწოდებდა დაფინანსების ზრდისკენ რათა გაზრდილიყო დასაქმების დონე, ხოლო ფრიდმანი ფულის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გამოშვების ზრდის მომხრე იყო. 1932 წელს, ფრანკლინ რუზველტის მიერ შემუშავებული გეგმით და 1933 წელს დეფლაცია შეჩერდა.

აშშ-ს დიდი დეპრესიის მსგავსი მოვლენები განვითარდა 1990-იან წლებში იაპონიაში. გამოშვების შემცირების პარალელურად საწარმოებმა ვეღარ შეძლეს საბანკო კრედიტების დაფარვა. ბანკები ერთმანეთის მიყოლებით კარგავდნენ მსხვილ მსესხებლებს და იძულებული გახდნენ რისკიან მსესხებლებზე გაეცათ თანხები. ამას გარდა საწარმოები მიწებს გირაოს სახით იყენდებდნენ და მისი ღირებულება უკიდურესად დაეცა. მიწის ფასმა და საფონდო ბაზარმა კრაზი განიცადა. დაიწყო საბანკო პანიკა. დეპოზიტების სადაზღვევო სისტემის არსებობამ, რომელიც ამერიკაში იქნა შემოღებული 1934 წელს უარყოფითი გავლენა მოახდინა არსებულ მდგომარეობაზე.

დიდი დეპრესიის მიზეზებს ხსნის ე.წ ავსტრიული სკოლა, რომელიც ნაკლებად პოპულარული იყო 2008 წლის ფინანსური კრიზისის დაწყებამდე. თუმცა ბოლო პერიოდში ინტერესის საგნად იქცა. ავსტრიული სკოლის თეორიტიკოსების მოსაზრებით ფულის მიწოდებასა და ეკონომიკურ აქტივობას შორის პირდაპირი კავშირია. ფულზე ხელმისაწვდომობის ზრდით, რაც გამოიხატება საპროცენტო განაკვეთის შემცირებაში ან ფულის გამოშვების ზრდით კრედიტების მოცულობა მკვეთრად იზრდება. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ფულის ფასი თავისუფალ ბაზარზე განისაზღვრება. ბანკები მოგებას იღებენ დეპოზიტებსა და სესხებს შორის არსებული საპროცენტო განაკვეთის სხვაობიდან და თავისუფალ ბაზარზე ხდება ფულის „ფასის“ დადგენა. თუ ამ პროცესში სახელმწიფო ჩაერევა, ფულის მასის ხელოვნური ზრდით მისი ფასი იკლებს და სესხები ხელმისაწვდომი ხდება იმ აგენტებისთვის, ვინც აქამდე ვერ შეძლებდა სესხით უძრავი ქონების შეძენას მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო. შედეგად ვიღებთ გაცემული კრედიტების ჭარბ ზრდას და იბერება ე.წ „ბუშტები“. რაღაც პერიოდის შემდეგ ბაზრის მექანიზმი ფულის „ფასს“ ბუნებრივ დონეზე აბრუნებს, საპროცენტო განაკვეთი იზრდება. ეს ზრდის დახანარჯებს და ამცირებს მოგების ნორმას. ცენტრალური ბანკი ინფლაციის თავიდან

ასაცილებლად მიმართავს მიმოქცევაში ფულის შემცირების პოლიტიკას და ე.წ „ბუმტები“ სკდება. იწყება რეცესია.

ანა შვარცის თქმით: ხელოვნური სტიმულები ეკონომიკაშია არ მუშაობს და ფირმები, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს უნდა გაკოტრდნენ, ისინი ვინც სწორი გადაწყვეტილება მიიღეს_გამდიდრდნენ. მსოფლიო კი სხვა მიმართულებით მიდის.¹¹

2008 წლის კრიზისის შემდეგ ცხადი გახდა ჩარლზ კინდელბერგის ნაშრომის სისწორეც, რომელიც ფინანსური კრიზისის მიზეზებს იკვლევდა და მისი ანალიზი შემდეგ ლოგიკას ექვემდებარება: პოზიტიური მოლოდინების საფუძველზე ინვესტორები იწყებენ თავიანთი თავისუფალი ფინანსური სახსრების დაბანდებას და ეს ხშირად ჭარბ დაბანდებად იქცევა. მას შემდეგ რაც ეკონომიკური აგენტები აღმოაჩინენ, რომ მომავალი ზედმეტად ოპტიმისტურად შეაფასეს, ფინანსური სისტემა ირყევა და შესაძლოა დაიწყოს პანიკა. უეცრად წარმოქნილი ფინანსური „ბუმტები“ სკდება. 80-იან წლებში კინდელბერგის თეორია პოპულარობით არ სარგებლობდა, თუმცა ბოლო პერიოდში მისი სისწორე დამტკიცდა. მისი თეორია მინსკის მოდელს ემყარება.

კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი არასტაბილურობის კვლევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს ჰაიმან მინსკის (1919-1996) წვლილი, იგი განიხილავდა გლობალური ფინანსური კრიზისისა და კაპიტალიზმის სიმყიფეს. ფინანსური კრიზისის წარმოშობის საწყის მიზეზად საკრედიტო სფეროს ასახელებდა. მინსკი პოსტკეინზიანელადაა მიჩნეული და იგი ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად მიიჩნევდა საკრედიტო ექსპანსიის ყველა არხზე კონტროლს. ამის მიზეზი იყო მისი მოსაზრება, რომ ბანკის გარეთ კერძო დაკრედიტების არსებობა კიდევ უფრო ზრდის საგადასახდელო ვალდებულებებს. კაპიტალიზმის როგორც სისტემის ნაკლოვანებების კვლევისას მინსკი ასკვნის, რომ როგორც კი ხდება კრიზისის არიდებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება, ეს კიდევ უფრო ზრდის ახალი კრიზისის წარმოშობის რისკებს, რომელიც უფრო მწვავე შეიძლება აღმოჩნდეს.

¹¹ მექვაბიშვილი ე., „თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები“ გვ.106-110

მინსკი იკვლევდა ეკონომიკურ აგენტთა ფსიქოლოგიას, შემდგომში ჩარლზ კინდელბერგმა მის მსჯელობაზე დაყრდნობით განავითარა ფინანსური კრიზისის შესახებ თეორია. მინსკი ამბობს, რომ კრიზისის წინაპირობა წარმოიქმნება საინვესტიციო ბუმის დროს. ფინანსური სისტემა ფუნდამენტურად არის მყიფე კაპიტალიზმის პირობებში. ამას განსაკუთრებით განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტთა სირთულე და მრავალგვარობა.

ფინანსური კრიზისი მაშინ წარმოიშობა როცა კომპანიებს იმაზე მეტი ნაღდი ფული სჭირდებათ ვიდრე მიღება შეუძლიათ. ისინი ამ დროს დაფინანსების ალტერნატიული გზების ძიებას იწყებენ და ახდენენ საბაზრო პოზიციების ლიკვიდაციას. ეს პროცესი გამოშვების დაცემასა და უმუშევრობის ზრდის მაპროვოცირებელია. კრიზისის წარმომშობი კიდევ ერთი ფაქტორი დავალიანების მაღალი დონეა ეკონომიკაში. ამის წყალობით ფინანსურ სექტორში წარმოქმნილი არასტაბილურობა სხვა სფეროებსაც გადაეცემა და ზემოქმედებს მთლიან ეკონომიკაზე.

ტრადიციული მონეტარული პოლიტიკით შეუძლებელია ფინანსური კრიზისიდან გამოსვლა, საჭიროა მკაცრი სისტემა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ფინანსურ ინსტიტუტებს. ცენტრალური ბანკის ფუნქცია უნდა იყოს უიმედო ვალების ჩამოწერის და ფინანსური კრიზისის პრევენციის როლში. მისკის მოსაზრებებს ბევრი კრიტიკოსი ყავდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მას კრიზისი ზუსტად არ განუმარტავს და თავისი კონცეფცია კონკრეტულად არ ჩამოუყალიბებია.

1.2. თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და მისი გამომწვევი მიზეზები

2008 წლის გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი არის ყველაზე მძიმე კრიზისი მსოფლიო ისტორიაში დიდი დეპრესიის შემდეგ. აშშ-ში დაწყებულმა რყევამ მთელი მსოფლიო მოიცვა. საფინანსო ინსტიტუტები ერთმანეთის მიყოლებით ინგრეოდა. რეკორდულად გაიზარდა ნავთობის ფასი და დაიწყო რეცესია. საჭირო იყო ხელისუფლების მხრიდან სასწრაფო ნაბიჯების გადადგმა და ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენება. თუმცა იმდროინდელი პრეზიდენტი ჯერ კიდევ ოპტიმისტურად იყო განწყობილი და იმედოვნებდა, რომ მცირე ჩარევით მოახერხებდნენ ბინათმშენებლობაში წარმოქნილი კრიზისი სხვა სფეროებსაც არ გადასდებოდა, თუმცა საუბედუროდ კრიზისი მალე გადავიდა სხვა დარგებზე. კრიზისის დასაძლევად პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 700 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო.

ერთ-ერთი მოსაზრებით კრიზისი წარმოშვა უკონტროლო იპოთეკურმა სესხებმა, რომელსაც იღებდნენ გადახდისუუნარო მსესხებლები და მაშინ როცა ეკონომიკურმა აგენტებმა ვეღარ შეძლეს სესხების გადახდა, დაიწყო საბანკო სისტემის გაკოტრება. ბანკებმა დაიწყეს გასაცემ სესხებზე კანონის გამკაცრება, რაც სულაც არ იყო გამოსავალი, პირიქით რეცესიის საფრთხე დადგა. ამჯერად მთავარი იყო იმის განსაზღვრა თუ რამდენად მწვავე იქნებოდა რეცესია და შეეხებოდა თუ არა იგი სხვა ქვეყნებსაც.

უძრავი ქონების კრიზისის პირველი მსხვერპლი უოლ სტრიტის უდიდესი კომპანია „ბერ სტერნზი“ იყო, რომელიც დაბალ ფასად იყიდა „ჯეი პი მორგან ჩეისმა“, ამას მოჰყვა უმსხვილესი იპოთეკების გამცემი კომპანიის „ინდიმაკის“ კრახი. 1 თვეში გაკოტრების საფრთხის წინაშე დადგა კიდევ ორი მსხვილი იპოთეკების გამცემი კომპანია „ფანი მეი“ და „ფრედი მაკი“. მათი წილი საფინანსო სისტემაში იმდენად დიდი იყო, რომ მათი მარცხი მთელი საფინანსო სისტემის კრახს გამოიწვევდა, ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა მათი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა.

ამის შემდეგ პროცესები უკვე ძალიან სწრაფად ვითარდებოდა. 1 დღეში გაკოტრდა „ლემონ ბრაზერსი“. მთავრობამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და მსხვილი სესხი შესთავაზა გიგანტურ სადაზღვევო კომპანიას „AIG“-ის.

პროცესი შეუჩერებლად გრძელდებოდა და კიდევ არაერთი გიგანტი ბანკი გაკოტრდა. მთავრობამ გადაწყვიტა კოლოსალური თანხების გამოყოფა რათა კრიზისიდან გამოეყვანა საბანკო ინსტიტუტები და შეესყიდა მათი უიმედო ვალები. ბევრი ექსპერტის მოსაზრებით აშშ-ს არ უნდა დაეშვა „ლემან ბრაზერსის“ გაკოტრება, რადგან ამ გიგანტმა ჯაჭვური რეაქციით გაანადგურა სხვა გიგანტები.

ამ მოვლენების შემდგომ ჯერი ევროპაზეც მივიდა. ბრიტანული იპოთეკების გამცემი ბანკი საფრთხის წინაშე დადგა, შემდგომ ეს ტალღა გავრცელდა ბელგიაზე, ნიდერლანდებზე, ლუქსემბურგზე და თითოეულმა ამერიკის მსგავსად დაიწყო საბანკო სექტორის გადარჩენაზე ზრუნვა. ისლანდია განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, საბანკო სისტემის კრაზი იმდენად მძიმე იყო, რომ მხოლოდ საერთაშორისო დახმარების ხარჯზე თუ მოახერხებდა ამ სიტუაციიდან გამოსვლას. მან საერთაშორისო სავალუტი ფონდს სთხოვა დახმარება. სსფ-ს დახმარება დასჭირდათ ლატვიას, უნგრეთს, უკრაინას, ბელორუსიას და პაკისტანს.

განვითარებული ქვეყნების შემდეგ კრიზისმა განვითარებადი ქვეყნებიც მოიცვა. რუსეთში აქციების ფასის ვარდნა დაიწყო. საფონდო ბირჟები კრიზისს განიცდიდა. ფინანსურმა კრიზისმა თითქმის უამრავი სექტორი დააზიანა და გამოიწვია უმუშევრობა.¹²

კრიზისის შესახებ პასუხისმგებლობაზე საუბრისას ხშირად ამერიკის ცენტრალური ბანკს ადანაშაულებენ დაბალი საპროცენტო განაკვეთის დაწესების გამო. ის თუ რეალურად რამ წარმოშვა 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი აზრთა სხვადასხვაობის საგანია, თუმცა არსებობს ორი ძირითადი მოსაზრება, რომლის ირგვლივაც მსჯელობს ეკონომისტთა უმრავლესობა, ეს მიზეზებია:

- შერბილებული მონეტარული პოლიტიკა
- გლობალური ფინანსური დისბალანსი და კაპიტალის ნაკადების ზრდა

2000-2008 წლებში განუხრელად ხდებოდა ბინებზე ფასების ზრდა და ეკონომისტები აანალიზებდნენ, რომ გარკვეულ ეტაპზე მკვეთრი დაცემა იყო მოსალოდნელი, თუმცა მათი

¹² <https://www.radiotavisupleba.ge/a/1561043.html>


რჩევის გათვალისწინება არ მოხდა და 2007 წელს უძრავი ქონების ფასი მართლაც საგრძნობლად დაეცა. ამ პროცესის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის სუბსტანდარტულ სესხებს, რომელიც არ მოითხოვდა თანამონაწილეობას და ამ „წახალისების“ გამო ბინების მფლობელებიც კი საკუთარ სახლებს იპოთეკით ტვირთავდნენ, რამაც უძრავ ქონებაზე ფასები გაზარდა. უკონტროლო სესხების გაცემამ უიმედო სესხების დონე გაზარდა, ბანკებს კი რისკიანი პორტფელები ჰქონდათ შესყიდული. ფასების დაცემასთან ერთად ცხადია სუბსტანდარტული სესხების გამცემი საბანკო დაწესებულებები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ფინანსური კრიზისის წინაპირობა ისიც იყო რომ 1980 წელს მიიღეს აქტი, რომელმაც შესაძლებელი გახადა ბანკების შერწყმა. ეკონომისტთა ნაწილი, მათ შორის ჯოზეფ სტიგლიცი და კრუგმანი სწორედ ამ დერეგულაციის აქტს მიიჩნევენ უძრავი ქონების ბუშტების წარმოშობის საწინდრად. კრიზისი ნაკლებად მწვავე იქნებოდა რომ არა ფასიანი ქაღალდები, რომლებიც იპოთეკით იყო უზრუნველყოფილი და ერთგვარ ინოვაციას წარმოადგენდა ამ სფეროში.

ეკონომისტთა მოსაზრებით ის მწვავე შედეგები, რაც 2008 წლის კრიზისმა მოიტანა, არ იქნებოდა ასეთი მძიმე, რომ არა აშშ-ში გავრცელებული ფინანსური ინოვაციები (mortgage-based securities), რომელთა წყალობითაც უამრავმა ადამიანმა ბინების იპოთეკით დატვირთვა დაიწყო. უკვე შედეგთან ბრძოლა კი ძალიან რთული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ ლიკვიდობის ინექციებით ცდილობდა პანიკა შეერბილებინა მდგომარეობის მართვას მაინც ვერ ახერხებდა.

თუკი გადავხედავთ აშშ-ს 1970-2010 წლებში ვნახავთ, რომ ეკონომიკური აგენტების მიერ აღებული კრედიტები განუხრელად იზრდებოდა. ეს იქნებოდა იპოთეკური თუ ბიზნეს სესხები და ეს საბოლოოდ ფასების ზრდამაც მიაღწია პიკს და წარმოქმნილი ფინანსური „ბუშტები“ მოულოდნელად გასკდა

გრაფიკი 1 : ამერიკის კერძო ვალის ზრდა



წყარო: federal reserve database (<https://www.federalreserve.gov/publications/economic-well-being-of-us-households>)

ის მომენტი როცა აშშ-ში დაწყებული ფინანსური კრიზისი გლობალური გახდა იყო 2008 წლის სექტემბერი. ევროპულმა და ასევე ამერიკულმა ბანკებმა კრედიტების ამოღება დაიწყეს. ამან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა უცხოურ დაფინანსებაზე დამოკიდებული ქვეყნები. საერთაშორისო კრედიტების გაცემა ვეღარ ხდებოდა. ამ პროცესმა განსაკუთრებით ის ქვეყნები დააზიანა, რომლებმაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ჰქონდათ და ასევე ისინიც სადაც იყო უძრავი ქონების ბუმი. ევროპის არაერთ განვითარებული ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და რაც მოსალოდნელი იყო ფინანსური კრიზისი რეალურ სექტორზე გავრცელდა. შემცირდა ექსპორტი, დაეცა ფასების დონე ასევე სავაჭრო ურთიერთობები და ფულადი გზავნილების ოდენობა მკვეთრად შემცირდა.

სხვადასხვა წყაროების შეფასებით დანაკარგი უდიდესი იყო. ფინანსური სისტემის მთლიანი ზარალი 2008 წლისთვის დაახლოებით 3 ტრილიონ აშშ დოლარს მიუახლოვდა.

2011 წელს კონგრესმა გამოქვეყნდა დასკვნა, რომელიც ფინანსური კრიზისის მიზეზად ფინანსურ სექტორზე არსებული რეგულაციებზე შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას ასახელებს, რითაც სარგებლობენ ფინანსური სპეკულატორები და გასცემენ მაღალ რისკიან სესხებს.

თავი II გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და საქართველო

2.1. თანამედროვე გლობალური კრიზისის გავლენა საქართველოზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასახული კრიზისმა, რომელიც მალე გადაიზარდა მსოფლიო კრიზისში, საქართველოზეც ნეგატიური გავლენა მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი გარდაუვალად არ მიიჩნეოდა, ვინაიდან საქართველოს ფინანსური ბაზრები განუვითარებელი და შედარებით იზოლირებულია, მაინც გამოიკვეთა სირთულეები.

რუსეთ-საქართველოს ომს დაერთო გლობალური ფინანსური კრიზისი და ამან ქვეყანა თვისებრივად ახალი ამოცანების გადაჭრის წინაშე დააყენა. თუკი მოვახდენთ 2008 წლის რაოდენობრივ მონაცემების ანალიზს რთულია გლობალური ფინანსური კრიზისისა და რუსეთის აგრესიის შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2008 წელს საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო ეკონომიკურმა ზრდამ მხოლოდ 2,3% შეადგინა, (2005 წელს-9,6%, 2006 წელს-9,4%, 2007 წელს -12,3%) ხოლო, წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 5,5% იყო.

საქართველოში მიმდინარე კრიზისის განხილვისას მნიშვნელოვანია ვისაუბროთ იმ შიდა ფაქტორებზე, რომლებიც თან დაერთო ამ ორ ეგზოგენურ შოკს, კერძოდ:

- საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმეტესი ნაწილი მიმართული იყო პრივატიზაციაში და უძრავი ქონების შეძენაში. ამან გამოიწვია დისბალანსი, ვინაიდან ფინანსური ნაკადების ზრდის ტემპი ქვეყანაში საგრძნობლად აღემატებოდა ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ტემპს
- სამშენებლო სექტორში ე.წ ფინანსური პირამიდის გაჩენა, რაც გამოწვეული იყო მთავრობის მხრიდან ამ პრობლემის იგნორირებით

- ბანკები თავიანთ საკრედიტო რესურსებს ძირითადად ევროპის ფინანსურ ბაზრებზე, შედარებით იაფი რესურსების ხარჯზე ავსებდნენ, ხოლო ეს კრედიტები უმთავრესად მშენებლობისა და იმ სამომხმარებლო, საყოფაცხოვრებო საქონლის შექმნის მიზნით გაიცემოდა, რომელიც მთლიანად იმპორტირებულია საქართველოში. ეს ნიშნავდა იმას, რომ იმპორტირებული ფინანსური რესურსების ხარჯზე ფინანსდებოდა ე.წ „ფინანსური პირამიდებით“ დასნეულებული სამშენებლო სექტორი.

რუსეთისგან დაზარალების გამო საერთაშორისო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს საქართველოს, შეღავათიანი კრედიტების, გრანტებისა და დახმარებების სახით. თანხების შემოდინება დაიწყო 2008 წელს და გაგრძელდა 2010 წლამდე. საქართველოს კომერციულ ბანკებს ევროპის ფინანსურ ბირჟებზე დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალი დაუგროვდათ, რომლის დაფარვის ვადა 2009 წელს დადგა. საქართველოს ბანკებს ამ თანხების დაბრუნება არ შეეძლოთ, მაგრამ დონორთა დახმარების წყალობით საბანკო კრიზისის არიდება მოხერხდა და საქართველოს ბანკებმა აშშ-სგან მიიღეს 636 მილიონი დოლარი.

საბიუჯეტო სფეროში კრიზისი იმით გამოვლინდა, რომ 2009 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფოს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 500 მილიონი ლარით შემცირება, რაც 2009 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის ჯამური საგადასახადო შემოსავლების 10,5%-ს შეადგენს. ამასთან მთლიანად საბიუჯეტო შემოსავლები გაიზარდა, რაც დონორების შემოსავლების ხარჯზე იყო. რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებები, რომელიც მივიღეთ, როგორც ომისგან დაზარალებულმა ქვეყანამ, კრიზისის შედეგები ბევრად მწვავე იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ესაა „ომის პარადოქსი“ რომელმაც გარკვეულწილად დადებითი შედეგიც კი მოიტანა. საქართველოში მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობის გამო, რაც გამოიხატა

იმაში რომ 10-მა ყველაზე დიდმა საწარმომ საგრძნობლად შეამცირა წარმოების მოცულობა ან საერთოდ დაიხურა გააშიშვლა ნეკროეკონომიკის პრობლემები. (ვ. პაპავა;2009.გვ168)

ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად მთავრობამ შეიმუშავა „ახალი ფინანსური პაკეტი“, რომელიც საბანკო და სამშენებლო სექტორს მოიცავდა (საქართველოს მთავრობა,2009) კერძოდ მთავრობამ გადაწყვიტა 260 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვება და აქედან მიღებული თანხებით ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. ამით მთავრობა კომერციულ ბანკებს დაეხმარა, ვინაიდან ისინი არიან ამ ფასიანი ქაღალდების ძირითადი მყიდველები. აღნიშნული პაკეტი ითვალისწინებდა ბანკების რეგულაციების შესუსტებასაც, რაც მთავრობის მოსაზრებით, საკრედიტო რესურსების სახით დამატებით 700 მილიონ ლარზე მეტს მისცემდა. ეს პაკეტი ასევე ითვალისწინებდა ქალაქ თბილისის მერიის მიერ ფინანსური გარანტიების გამოყოფას, იმ სამშენებლო კომპანიების მიერ კრედიტების მისაღებად, რომლებიც ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდის განახლებას მოკიდებდნენ ხელს.¹³

2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა საქართველოზე ისეთი გავლენა ვერ მოახდინა როგორც სხვა ქვეყნებზე, მაგრამ შედეგები არც ამ შემთხვევაში იყო სახარბიელო. მდგომარეობას ამწვავებდა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ კრიზისს თან ერთვისდა რუსეთ-საქართველოს ომი და სხვადასხვა პარამეტრების ანალიზისას რთულია გაიმიჯნოს ამ ორი ეგზოგენური ფაქტორიდან, რომელი მათგანის შედეგი იყო ამა თუ იმ პარამეტრის ცვლილება.

საქართველოში 2008 წლის კრიზისმა, რომელიც ფინანსური სექტორიდან დაიწყო, რამდენიმე მიმართულებით მძიმე ზემოქმედება მოახდინა. პირველ რიგში უარყოფითად იმოქმედა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ცხადია არასტაბილური გარემოს და საომარი მოქმედებების შემდგომ ინვესტორთა მოზიდვა რთული გახდა. მეორე მხრივ შემცირდა საექსპორტო პოტენციალი, ვინაიდან მსოფლიო კრიზისის ფონზე ქართულ

¹³ პაპავა.ვ; „გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ომისშემდგომი საქართველოს პრობლემები“,თბილისი 2009 წ; გვ (165-168)

საექსპორტო პროდუქტზე შემცირდა მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე. ერთის მხრივ აღსანიშნავია ის რომ ნავთობსა და საკვებზე ფასების შემცირებამ ადგილობრივ ბაზარზე ფასები შეამცირა, რაც შეღავათი იყო მოსახლეობისთვის და ასევე მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე დადებითად იმოქმედა.

რუსეთში წარმოქმნილი კრიზისის უარყოფითი შედეგები ნაკლებად შეეხო საქართველოს, ვინაიდან ერთმანეთთან მჭიდრო სავაჭრო კავშირები არ გვაქვს. თუმცა საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ფულად გზავნილებზე, რადგან რუსეთის წილი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ამ კუთხით. ამას გარდა 2008 წელს საბიუჯეტო პოლიტიკით, რომელმაც მოაწესრიგა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირება საგრძნობლად მაღალი შემოსავალი მოუტანა ბიუჯეტს. საქართველომ საგარეო დახმარებების სახით სესხები და გრანტები მიიღო.

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა საქართველოზე ისეთი მწვავე გავლენა ვერ მოახდინა, როგორც ეს სხვა ქვეყნების შემთხვევაში მოხდა. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, საქართველოს ფინანსური სექტორის განვითარების დაბალი დონე და მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ნაკლებობა იყო. ამას გარდა 2008 წლის კრიზისი გადაფარა რუსეთ-საქართველოს ომმა და შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური სექტორის კრაზი საქართველოს განსაკუთრებულად არც უგრძობნია. ომის გამო 2008 წელს მივიღეთ მსხვილი ფინანსური დახმარება სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან. ამ ორი მოვლენის ერთმანეთისგან განცალკევება და მათ ეფექტებზე საუბარი რთულია.

საქართველომ 4,5 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარება მიიღო საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან, რამაც ხელი შეუწყო ლარის კურსის დასტაბილურებას და ეკონომიკის ასე თუ ისე გამართულ მუშაობასაც. განსაკუთრებით კი იმის ფონზე, რომ საქართველო ძირითადად იმპორტიორი ქვეყანაა მსოფლიო ბაზარზე და ექსპორტს იმპორტის ოდენობა თითქმის 5-ჯერ აღემატება. ბრიუსელში გამართული კონფერენციის წყალობით, სადაც არაერთმა ქვეყანამ გამოთქვა საქართველოს დახმარების სურვილი, ეკონომიკური კრიზისი შედარებით უმტკივნეულოდ გადავიტანეთ. მსოფლიო

კრიზისის ფონზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთელს მსოფლიოში შემცირდა თითქმის 30%-ით. საქართველოში ინვესტიციების შემცირება საკმაოდ დიდი იყო ვინაიდან კრიზისს ერთვოდა არასტაბილური და რისკის შემცველი გარემო რომელიც გამოწვეული იყო საომარი მოქმედებებით. კერძოდ: 2004 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 499 მილიონ დოლარს შეადგენდა, 2005 წელს 450 მილიონს (ამ პერიოდში შეინიშნება კლება, ვინაიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა დამთავრდა), ხოლო 2006 წელს 1190 მლნ დოლარი იყო, 2007 წელს 2014 მლნ დოლარი. 2008 წელს კი 1564 მლნ დოლარი. წინა წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 600 მილიონით შემცირდა.

ფინანსური სექტორის კრიზისმა საქართველოში რეალურ სექტორზე უარყოფითად იმოქმედა. საერთაშორისო ბაზარზე მადნების დაცემული ფასების გამო იგი ჩვენ შემოსავლებზე უარყოფითად აისახა, ვინაიდან ლითონის ჯართი საქართველოს საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა.

კრიზისმა საგადასახდლო ბალანსზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები. საერთაშორისო ურთიერთობების წილი საერთო ჯამში საგრძნობლად შემცირდა. ამას გარდა შემცირდა მსოფლიო ფასები საწვავზე და სასურსათო საქონელზე. საქართველოში შიდა მოთხოვნა შემცირდა, ამას თან ერთვოდა რუსეთის აგრესიისგან გამოწვეული ეფექტი. ამ პროცესმა საგადასახდლო ბალანსის დეფიციტზე დადებითად იმოქმედა.

კრიზისისა და ომის ფონზე საგრძნობლად შემცირდა უძრავი ქონების (ბინების) ფასები, თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვით ეს ეფექტი რუსეთ-საქართველოს ომის შედეგი იყო, თუ გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა. რაც შეეხება საბანკო სექტორს, კრიზისმა მასზე სექტორზე უარყოფითად იმოქმედა და შემცირდა ბანკების აქტივების ღირებულება, თუმცა ევროპისა და ამერიკის ბანკების მდგომარეობასთან შედარებით საქართველომ უკეთ გაუძლო კრიზისს, განსაკუთრებით იმ ფონზე რომ კრიზისის სირთულეს ომის მწვავე შედეგებიც ამძიმებდა.¹⁴

¹⁴ https://www.nbg.gov.ge/bankjournal/uploads/journal/2014_2/1.pdf

რაც შეეხება კრიზისის გავლენას საქართველოს საბანკო სექტორზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბოლო წლებია საბანკო სფერო საგრძნობლად განვითარდა და ეკონომიკის ქვაკუთხედადაც ჩამოყალიბდა. კრიზისის პერიოდში 2008 წლის დასაწყისისთვის საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების წილი 8 მილიარდზე მეტი იყო, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ს აჭარბებს. ზოგადად კრიზისის დროს საბანკო სექტორი ყველაზე მოწყვლადი სფეროა, არც ეს შემთხვევა აღმოჩნდა გამონაკლისი და კრიზისმა და ომმა ერთდროულად საბანკო პანიკა გამოიწვია. ივნისის თვეში ბანკების უმრავლესობამ გააძვირეს კრედიტები როგორც იპოთეკურ ისე სამომხმარებლო სესხებზე, რამაც სამშენებლო და სხვა ადგილობრივ ბიზნესებზეც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. ომის ფონზე დაიწყო საბანკო პანიკა და მოსახლეობამ ანაზღაურების გატანა დაიწყო ბანკებიდან, მხოლოდ 2 თვის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში ბანკებიდან 300 მილიონ ლარზე მეტი იქნა გატანილი, ხოლო კომერციული ბანკების ხელთ არსებული აქტივების ფასი საგრძნობლად შემცირდა. ბანკების ნაწილი გაკოტრების პირასაც დადგა.

ეროვნული ბანკი იძულებული გახდა შეერბილებინა პოლიტიკა და კომერციულ ბანკებს სექტემბრის პერიოდში სავალდებულო რეზერვების ნორმა 13%-იდან 5%-მდე შეუმცირა, ამასთან ფინანსური მონიტორინგის ლიკვიდობის კოეფიციენტი შემცირდა 30%-დან 20%-მდე. ეს მცირედით დაეხმარა საბანკო სექტორს, მაგრამ რომ არა საერთაშორისო დახმარებები ეროვნული ბანკის ღონისძიებები მხოლოდ დროებითი ამოსუნთქვის საშუალება იქნებოდა და დიდი ალბათობით კომერციული ბანკების გაკოტრებით დამთავრდებოდა. დახმარების ოდენობა საკმაოდ დიდი იყო. კერძოდ ამერიკის მხრიდან 1 მილიარდი დოლარი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 750 მილიონი, ხოლო ევროკავშირის მიერ გამოყოფილ იქნა 500 მილიონი დოლარი.

2.2. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი საქართველოში

მაკროეკონომიკური ინდიკატორები ესაა სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ეკონომიკის მდგომარეობის მაკროეკონომიკურ ასპექტებს და არის ბერკეტი იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ქვეყნის განვითარების დინამიკა.

ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორებია:

- მთლიანი შიდა პროდუქტი
- ფასების დონე
- ბიუჯეტის დეფიციტი/პროფიციტი
- სახელმწიფო ვალი
- მიმდინარე ანგარიშის ბალანსი
- გაცვლითი კურსი

მაკროეკონომიკური ინდიკატორები შესაძლოა დავაჯგუფოთ ეკონომიკური სექტორების მიხედვით, კერძოდ:

- რეალური სექტორი
- ნომინალური სექტორი
- საგარეო სექტორი
- ფისკალური სექტორი

ეკონომიკის რეალური სექტორი მოიცავს:

- მთლიან შიდა პროდუქტს (მოხმარება, ინვესტიციები, სახელმწიფო შესყიდვები, ექსპორტი და იმპორტი)
- წმინდა ეროვნულ პროდუქტს
- ქვეყნის განკარგვად შემოსავლებს (შემოსავლები გადასახადების დაფარვის შემდგომ)
- ქვეყნის მთლიან დანაზოგებს (კერძო და სახელმწიფო სექტორის დანაზოგების ერთობლიობა)

ეკონომიკის ფისკალური სექტორი მოიცავს:

- შემოსავლები (საგადასახადო შემოსავლები, სხვა შემოსავლები, გრანტები)
- ხარჯები (მიმდინარე ხარჯები, კაპიტალური ხარჯები (არაფინანსური აქტივები/სახელმწიფო ინვესტიციები))
- ბიუჯეტის დეფიციტი/პროფიციტი
- ფინანსური აქტივები
- ვალდებულებები
- დეპოზიტზე ნაშთის ცვლილება (კერძო ბანკებში, ეროვნულ ბანკში)
- ბალანსი

ეკონომიკის საგარეო სექტორი მოიცავს:

- სავაჭრო ბალანსს (საქონლის ექსპორტი, მომსახურების ექსპორტი)
- იმპორტი (საქონლის იმპორტი, მომსახურების იმპორტი)
- მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (ტრანსფერტული შემოსავლები, ფაქტორული შემოსავლები)
- კაპიტალის და ფინანსური (კაპიტალის ოპერაციები, ინვესტიციები (პირდაპირი პორტფელური და სხვა), რეზერვების ცვლილება)

ეკონომიკის ნომინალური ანუ მონეტარული სექტორი მოიცავს:

- ეროვნული ბანკის ანგარიშები (საშინაო და საგარეო აქტივები და ვალდებულებები)
- დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა (აქტივები, ვალდებულებები, ფულის მასის სხვადასხვა მაჩვენებლები, სხვადასხვა მონეტარული ინდიკატორები)¹⁵

განვიხილოთ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორის დინამიკა და გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გავლენა ამ მაჩვენებლებზე.

მთლიანი შიდა პროდუქტი – ესაა დროის გარკვეული პერიოდისთვის, ქვეყნის შიგნით წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება. გამოყოფენ ნომინალურ და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს. ნომინალური მშპ - საბაზრო ფასებში დათვლილი მაჩვენებელია, ხოლო რეალური მშპ ითვალისწინებს ფასების დონის ცვლილებას და რეალურ მსყიდველობითუნარიანობას ასახავს.

მთლიან შიდა პროდუქტს 3 მეთოდოლოგიით ანგარიშობენ:


- წარმოების მეთოდი
- დანახარჯების მეთოდი
- შემოსავლების მეთოდი

ზუსტი გაანგარიშების შემთხვევაში სამივე მაჩვენებელი ერთნაირ შედეგს გვაძლევს, თუმცა რა თქმა უნდა სტატისტიკური ცდომილებისა და სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო მეტ-ნაკლებად განსხვავებულ შედეგებს ვიღებთ.

გრაფიკ 2-ზე მოცემულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა 2004-2019 წლებში. როგორც გრაფიკზე ჩანს მთლიანი შიდა პროდუქტის ტრენდი აღმავალია, თუმცა არის ჩავარდნა 2009 წელს.

¹⁵ <http://www.parliament.ge>, 2017

გრაფიკი 2 : მთლიანი შიდა პროდუქტის სტატისტიკა




წყარო: geostat.ge (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

მთლიანი შიდა პროდუქტი 1 სულ მოსახლეზე გვიჩვენებს წლის განმავლობაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას შეფარდებულს მოსახლეობის რაოდენობასთან. ეს არის რეალური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ქვეყნის განვითარების დინამიკას. როგორც გრაფიკ 3-ზე ჩანს, აქაც კრიზისული მოვლენებიდან გამომდინარე 2009 წელს 1 სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა კლებადობით ხასიათდება. ზოგადი ტრენდი კი აღმავალია.

ფინანსური კრიზისი 2007 წლიდან დაიწყო, თუმცა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზე იგი არ ასახულა. ამას განაპირობებდა ის ობიექტური გარემოება, რომ ქვეყანა ნაკლებად იყო ინტეგრირებული გლობალურ ბაზარზე.

უარყოფითი გავლენა გამოიკვეთა მას შემდეგ რაც კრიზისულ მოვლენებს ომიც დაერთო თან.


გრაფიკი 3: მთლიანი შიდა პროდუქტი 1 სულზე მიმდინარე ფასებში



წყარო: geostat.ge (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

გრაფიკ 4-ზე ნაჩვენებია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის დინამიკა 2004-2019 წლებში. ტრენდი 2004 წლიდან აღმავალია და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2007 წელს დაფიქსირდა (12,58%-იანი ზრდა), ამის შემდგომ მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრი ვარდნა ხდება და ის 2008 წელს 2,42 %-მდე ჩამოდის. 2009 წელს კი უარყოფითი ხდება. ამას განაპირობებს როგორც გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ასევე რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებებიც. თუმცა ცალსახად იმის თქმა თუ რომელ ეგზოგენულ შოკს უჭირავს უფრო დიდი წილი ამ დაღმავლობაში რთულია.

გრაფიკი 4: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი




წყარო: geostat.ge (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

უმუშევრობა - ესაა სოციალურ ეკონომიკური კატეგორია. უმუშევრად ითვლება პირი, რომლის ასაკი აღემატება 15 წელს და რომელიც გამოკითხვის მომენტიდან წინა 1 კვირის განმავლობაში არ მუშაობდა თუნდაც 1 საათით, თუმცა მზად იყო ამისთვის და ეძებდა სამუშაოს.

უმუშევრობის დონე - ესაა უმუშევართა რაოდენობრივი თანაფარდობა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან. თავის მხრივ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მოიცავს დასაქმებულებსა და უმუშევრების ჯამს.

გლობალური ფინანსური კრიზისი მიმართ შრომის ბაზარი საკმაოდ მოწყვლადი აღმოჩნდა. ტრენდიდან ჩანს, რომ 2007 წლიდან აღინიშნება უმუშევრობის მკვეთრი

გრაფიკი 5: უმუშევრობის დონე საქართველოში



წყარო: geostat.ge (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>)

ზრდის ტენდენცია და 2009 წელს ნიშნულმა მაქსიმალურ მაჩვენებელს 18,3 %-ს მიაღწია.

ინფლაცია

განვიხილოთ კრიზისის გავლენა მონეტარულ სექტორზე, რომელიც მოიცავს - ინფლაციას, საპროცენტო განაკვეთებსა და რეალურ გაცვლით კურსს.


ინფლაცია - ესაა ფასების საერთო დონის ზრდა. მის გასაზომად საქართველოში გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი. ეს მაჩვენებელი ასახავს ქვეყნის ტერიტორიაზე პირადი მოხმარებისთვის შექმნილ საქონელსა და მოხმარებაზე გაწეულ დანახარჯებს და გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

- ინფლაციის არსებული დონის გასაანგარიშებლად

- ინფლაციის მიზნობრივი დონის გასაანგარიშებლად
- სოციალური დახმარებების თუ სხვა შემოსავალი/დანახარჯების ინდექსაციის პროცესის სამართავად
- დეფლატორის როლს, ინფლაციის გამოსარიცხად

გრაფიკზე მოცემულია ინფლაციის დონე საქართველოში 2004-2020 წლებში. ინფლაციის დონე მაქსიმალურ მაჩვენებელს აღწევს 2008 წელს (10,06%), შემდგომ ხდება მკვეთრი დაცემა და ინფლაციის ტალღას მოყვება დეფლაციის ტალღა. მომდევნო პერიოდებში მნიშვნელოვანი გადახრები არ ფიქსირდება. თუმცა საყურადღებოა 2020 წლის მაჩვენებელი, რომელიც მიზნობრივ მაჩვენებელთან შედარებით საკმაოდ მაღალია და გამოწვეულია მიმდინარე პანდემიური და კრიზისული მოვლენებიდან გამომდინარე.

გრაფიკი 6: ინფლაციის ტემპები საქართველოში



წყარო: geostat.ge (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia>)

გაცვლით კურსი

გაცვლით კურსი მნიშვნელოვნად შემოქმედებს ეკონომიკაზე. ერთს მხრივ ვალუტის გაუფასურება ექსპორტს ხელშემწყობია, ეს კი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე დამბობთ გავლენას ახდენს, მეორეს მხრივ კი იმპორტრებულსაქონელზე ფსების ზრდს გამოაფრყოფთა დემოქმედებს, როგორც შინამეურნეობათ მოხმარებაზე, ასევე ფრმებზეც, რომლებიც წარმოებაში იმპორტულშუღლდრ საქონელს მოხმარენ.

ნომინალური გაცვლით კურსი - ესაა უცხოური ვალუტის ღრებულება გამობატლო ადგილბრვი ვალუტაში

რეალური გაცვლით კურსი - უცხოური საქონლს ღრებულება გამობახულო ადგილბრვი საქონლთ

გრფუკ 7-ზე მოცემულთ 2004-2020 წლების ღრის გაცვლით კურსის დნამიკა ისეთ წამყვანი ვალუტების მიმართ როგორებიცაა დოლრი დ ევრო 2005 წლდნ შეინიშნება ღრის გამყარება ორივე ვალუტის მიმართდ ეს პროცესი გრმელდება 2008 წლმდ, 2008 წლდნ კი ნელნელ იწყებს აღმასვლს.


აღსანიშნავია რომ მიმდინარე 2020 წლს პერიოღში ღრის კურსი დოლრისა დ ევროს მიმართპიკურ ნიშნუღრთა.

გაცვლით კურსის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე არაერთნიშვნელოვანი შეიძლება იყოს. საქაროგელს შემთხვევაში ადგილბრვი ვალუტის გაუფასურებამ მოსალოდნელთ რომ გარზრდს მრეწველბის სექტორის კონკურენტუნარობთ, რომელბაც მშპ-ში მნიშვნელოვანი წილო უავია. ხოლო ისეთ სექტორებში რომლებიც მეტდ არიან დმოგიდბულ იმპორტულსაქონელზე ურყოფთ შემოქმედბას ახდენს.

გაცვლით კურსის გაუფასურებთ ერთს მხრივ აფიჯობესებს სავაჭრო ბაღნსს, ამცირებს ურუშევრობას დ ეკონომიკურ ზრდს უწყობს ხელს. გამყარებთ კი სპირისპიროეფექტთმოქმედბს. ოღც ეს საკიბი არაერთნიშვნელოვანია დ ცაღსხადვერგანვსაღვრავთმის შედგებს.¹⁶

¹⁶ https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf გვ.169,173

გრაფიკი 7: გაცვლითი კურსი დოლარსა და ევროში



საპროცენტო განაკვეთი

სესხებსა და დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთის დონე უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია. ეკონომიკური აგენტები დეპოზიტიდან მისაღები სარგებლისა და სესხზე დარიცხული პროცენტის შესაბამისად იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.


სესხებზე დაბალი პროცენტი სტიმულს აძლევს ბიზნესის განვითარებას. ხშირად ეროვნული ბანკი სწორედ ამ ბერკეტს იყენებს, იმისათვის რომ მოახდინოს ეკონომიკის სტიმულირება დადმავლობის პერიოდებში.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582>)

გრაფიკ 9-ზე ნაჩვენებია დეპოზიტებსა და სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება 2004-2019 წლებში. 2005 წელს სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, შემდგომ კი ისევ დაიწყო აღმასვლა და 2008 წელს 21,86 % შეადგინა, ხოლო 2009 წელს მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია და 22,41 პროცენტი იყო. შემდგომ პერიოდებში ისევ დადმასვლა დაიწყო.

დეპოზიტების ტრენდი კი აღმავლობით 2004 წლიდან აღმავლობით ხასიათდება.

გრაფიკი 8: საპროცენტო განაკვეთები სესხებზე და დეპოზიტებზე



➤ წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555>)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


პირდაპირი უცხოური ინვესტიცია - ესაა უცხო ქვეყნის საწარმოს მიერ სხვა ქვეყანაში ეკონომიკურ საქმიანობას განხორციელება და წილს ფლობა.

ისეთ განვითარებად ქვეყნისთვის, როგორც საქართველო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნიშვნელოვანეს როლს ასრულებს და სახელმწიფო არაერთ ღწინსძიებას მიმართავს ამისთვის.

გრაფიკ 10-ზე მოცემულია 2004-2019 წლებში ინვესტიციათა შემოდინების დინამიკა. 2005 წლის შემდგომ საქართველოში ადგილ ქონდა პუ-ის მკვეთრ ზრდას და ტრენდი აღმავლობით ხასიათდება,

ოქცა 2008 წელს განვითარბულმა მოვლენებმა და განსაკუთრბულდომმა, რომელმაც დაფრხო ინვესტორები პუ-ის მკვეთრი ვარდნა გამოწვია 2009 წელს. მომდევნო პერიოში დიწყო აღმასვლ, ოქცა დღე დრო გახდა საქირო იმისთვის, რომ ინვესტოციათ მოვულბა 2007 წელს არსებულნიშნულს მიახლებოდ და ეს 2014 წელს მოხდა.

გრაფიკი 9: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში




წყარო : საქსტატი; (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>)

სახელწიფის მიღანი ვალ

სახელწიფავალს დნის კონტროლ უნიშვნელგანესია ქვეყნის განვითარბისთვის. საქაროელს სახელწიფავალ წლებია მზრდ ტუნდთხასიათება.

გრფიკუე მოცემულა საგარო ვალს სტატუსტკვა. 2003 წლდნ მოყოლებულ ეს მაჩვენებელ იზრდბოდ და ნახტომისებურდ გაიზრდ რუქეთსაქაროელს ომისა და ფნანსური კრიზისის ფრწუ.

გრაფიკი 10: საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი



წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი; (https://mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika)

საგადასახდლობა


ექსპორტი-იმპორტის დინამიკა მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ქვეყნისთვის. ექსპორტის იმპორტზე გადაჭარბება აჩვენებს, იმას, რომ უცხოური მოთხოვნა ადვილბრვ საქონელზე მზარდა, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის უარესადმნიშვნელოვანია.

სამწუხაროდ საქართველო იმპორტდამოკიდებულია და საექსპორტო პოტენციალს მოუხედავად ნაკლებადარამწარმოებელ ქვეყანა.

გრფკ 11-ზე ჩანს რომ 2004 წლდან მოყოლებული ექსპორტი მზარდ ტენდენციითხასიათებოდა, მათშიორს 2007-2008 წლებში და დღმასვლ დაიწყო2009 წელს.

იმპორტი, ისევე როგორც ექსპორტი იზრდება, ხოლო სავაჭრო სალდო მთულბერიოდზე ძალან მაღლ უარყოფითნიშნულზე და დეფიციტურია.

გრაფიკი 12: ექსპორტ-იმპორტის წილი საქართველოში



წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=353>)

თავი III მოსალოდნელი კრიზისები და მათი დაძლევის გზები

3.1. ანტიკრიზისული გეგმა და სტაბილიზაციის პოლიტიკა

საქართველოსთვის 2008 წელი არასახარბიელო იყო, არა მხოლოდ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის, არამედ რუსეთთან საომარი მოქმედებების გამო. ეგზოგენურმა შოკებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა არაერთ ეკონომიკურ ცვლადზე.

ეროვნული ბანკი, რომლის ძირითადი ფუნქცია ფასებისა და ფინანსური სისტემის სტაბილურობა იყო, საკმაოდ რთული გამოწვევის წინაშე დადგა და მისი უნარი ამ კრიზისის წინააღმდეგ რისკის ქვეშ დადგა.

ინფლაციის დონე 2008 წლის დასაწყისში საკმაოდ მერყეობდა, ეს როგორ შიდა მონეტარული ფაქტორებით, ასევე ზემოთ ნახსენები ეგზოგენური შოკის გამო იყო გამოწვეული (მსოფლიო კრიზისი, ომი). წლის მეორე ნახევარში კი განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო დიდი არასტაბილურობა გამოიწვია. მართალია ეროვნულმა ბანკმა წლის დასაწყისშივე გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა, რასაც უნდა დაერეგულირებინა ინფლაციის დონე, მაგრამ მომდევნო პერიოდის შოკებმა, უარყოფითი შედეგები გამოიღო და ეროვნულმა ბანკმა მცურავი კურსის პირობებში ლარის კურსის დასტაბილურება ვეღარ მოახერხა.

განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ეროვნულმა ბანკმა დროებით ლარის კურსი დოლარს მიაბა. ამ პერიოდში მსოფლიო ფინანსური კრიზისი გამწვავდა და დოლარი ყველა ვალუტის მიმართ გამყარდა. ამან ლარის გამყარებაც გამოიწვია, ეროვნულმა ბანკმა კი მდგომარეობის გამოსასწორებლად ლარის ერთჯერად დევალვაციას მიმართა.

მართალია საქართველოში გარკვეულწილად რთულია საომარი მოქმედებებისა და გლობალური კრიზისის შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნა, თუმცა რომ არა რუსეთ-

საქართველოს ომი, კრიზისის გამო ეროვნულ ბანკს სავარაუდოა რომ იგივე ნაბიჯების გადადგმა დასჭირდებოდა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია რომ ამ პერიოდში გლობალური ეკონომიკაში საქართველო ნაკლებად იყო ინტეგრირებული. იგივე პერიოდში საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც იმდენად მძიმე მდგომარეობა იყო, რომ გარკვეული პერიოდით კურსი ჰქონდათ დაფიქსირებული.

კრიზისისა და ომის ფონზე საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა:

- ომით მიყენებული ზარალის შემსუბუქება/აღმოფხვრა
- ფინანსური კრიზისის თავიდან აცილება
- ინფლაციის დონის დასტაბილურება
- ლარის კურსის სტაბილურობის შენარჩუნება

მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ფინანსური დახმარებიდან (4,55 მილიარდი აშშ დოლარი) უდიდესი ნაწილი ომისგან მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად იქნა გამოყენებული. დაიწყო იძულებით დევნილთათვის საცხოვრებლების მშენებლობა, თუმცა ამას გარკვეულწილად ინფლაციური ხასიათი ჰქონდა, რადგან სახლებს მთავრობა ყიდულობდა და არა კერძო პირები.

მოსალოდნელი იყო ის ფაქტიც, რომ ომის შემდგომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მაღალი რისკის გამო საგრძნობლად შემცირდა. საქართველო აღარ ითვლებოდა უსაფრთხო ქვეყანად და ამან ინვესტორების დაფრთხობა გამოიწვია.

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა არაპირდაპირი გავლენაც მოახდინა საქართველოზე ფულადი გზავნილების შემცირების კუთხით. ვინაიდან ქვეყნიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრაციაშია, სხვა ქვეყნებში შექმნილმა კრიზისმა შემოდინებული ვალუტის რაოდენობა შეამცირა. ამას გარდა საქართველოში არსებული კომერციული ბანკებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა ევროპული ფინანსური ბაზრებიდან დაბალპროცენტიანი სასესხო რესურსები. ამ ყველაფერმა საფრთხე შეუქმნა ლარის სტაბილურობას.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად ომის შემდგომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან სესხად 750 მლნ აშშ დოლარი მივიღეთ, შემდგომში 2009 წელს დამატებით 420 მლნ დომარი მივიღეთ. ეს თანხა და ზემოთ ხსენებული ომის 4,55 მლნ დოლარი გამოყენებულ იქნა იმისთვის რომ თავიდან აგვეცილებინა სავალუტო კრიზისი. ერთის მხრივ იმ ფაქტმა რომ გლობალურ ბაზრებში საქართველო არ არის ინტეგრირებული და მეორეს მხრივ ომის გამო დახმარებების დიდმა მოცულობამ გამოიწვია ის, რომ კრიზისმა მძიმე ზეგავლენა არ მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე. 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებები შევიდა, ეკონომიკურმა კრიზისმა შემოსავლებზეც მოახდინა უარყოფითი გავლენა, კერძოდ საგადასახადო შემოსავლები 500 მლნ ლარით შემცირდა. თუმცა უცხოური დახმარებების ფონზე ბიუჯეტი ჯამში მაინც გაიზარდა 312 მლნ ლარით.

აღსანიშნავია ის, რომ სახაზინო ვალდებულებების ემისიამდე, ფინანსთა სამინისტრომ 50 მლნ ლარის ოდენობის თავისუფალი სახსრების ეფექტიანად გახარჯვის მიზნით გამოაცხადა ტენდერი ბანკებს შორის და ტენდერში გამარჯვებულ ბანკს ასესხა აღნიშნული თანხა. გამარჯვებული ბანკი საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა და მანდ იყიდა სახელმწიფოს სახაზინო ვალდებულებები. ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ მთავრობამ საკუთარი ფულითვე პროცენტებს შორის სხვაობა გადაუხადა მოცემულ ბანკს.

რაც შეეხება სამშენებლო სექტორის მხარდაჭერის პოლიტიკას, სამშენებლო კომპანიებს საშუალება მიეცათ გარანტიით აეღოთ სესხები. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეგრეთ წოდებული ფინანსური პირამიდის მექანიზმი სამშენებლო სექტორში ამ დრომდე არსებობდა და აღნიშნულმა ღონისძიებამ მათაც შეუწყო ხელი. ეს კი როგორც სამშენებლო ასევე საბანკო სფეროსაც აზიანებს. აუცილებელი იყო ჩატარებულ ღონისძიებების წინაპირობა ამ ტიპის კომპანიების ბაზრიდან გაყვანა/გაკოტრება ყოფილიყო.

2008 წლიდან ეროვნულ ბანკს შეეცვალა ფუნქცია-მოვალეობები და ჩამოშორდა ყველა ფუნქცია გარდა ერთისა – ინფლაციის რეგულირება (თარგეთირება). განისაზღვრა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, ე.წ თარგეთი და 2009 წელს პარლამენტმა მიიღო

ახალი კანონი ეროვნული ბანკის შესახებ და ამოღებული იქნა ინფლაციის წლიურ დონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი, ასევე ეროვნულ ბანკს დაუბრუნდა ფინანსური ზედამხედველობის ფუნქცია.

მთავრობამ 2008 წლის აპრილის თვეში ხუთწლიანი ევროობლიგაციები გამოუშვა, რამაც საგარეო ვალი 500 მლნ. აშშ დოლარით გაზარდა. ვალის დაფარვა 2013 წელს იყო დაგეგმილი, ხოლო მომსახურების წლიურმა პროცენტმა 7, 5 შეადგინა. აღნიშნული ვალის გახარჯვის მიმართულება მკაფიოდ არ იყო ნაჩვენები. ვინაიდან 2013 წელს ვალს ვერ დაფარავდა, მთავრობამ 2011 წელს 10 წლიანი ვადით გამოუშვა ევროობლიგაციები, ამით მოხდა 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების 85 პროცენტის დაფარვის ვადის გადაწევა 2021 წლამდე.

2008 წელს ემისირებული ევროობლიგაციებით როგორც ითქვა ომით დაზარალებულ მოსახლეობას საცხოვრებელი პირობები შეუმსუბუქდა. თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი 250 მლნ დოლარის შესახებ, რომლის ემისიაც მოხდა აგვისტოს ომამდე. ნოემბრის თვეში ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კომერციული ბანკების მოთხოვნამ აშშ დოლარზე, მათი მხრიდან ნულოვანი მიწოდების პირობებში, გადააჭარბა 31 მლს აშშ დოლარს. ეროვნულმა ბანკმა კი ეს მოთხოვნა მხოლოდ 270 ათასი აშშ დოლარით დააკმაყოფილა და ტექნიკური მიზეზების დასახელებით შეწყვიტა ვაჭრობა ბირჟაზე. აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია პანიკა. დოლარის კურსი მნიშვნელოვნად აიწია ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებში და დოლარის გაყიდვაზე უარსაც კი ამბობდნენ. ეს იყო ეროვნული ბანკის მიერ მოწყობილი ე.წ მწვანე პარასკევი.

მწვანე პარასკევთან დაკავშირებით ითქვა, რომ ლარის ნახტომისებურ გაუფასურებას არ მოჰყოლია ფასების ზრდა, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ვინაიდან ქვეყანა იმპორტდამოკიდებული იყო და დღესაც არის, ლარის გაუფასურებამ იმპორტულ საქონელი გააძვირა. 2009 წლიდან ბანკთაშორისი ოპერაციები სავალუტო ბირჟაზე შეწყდა და სავალუტო აუქციონის მექანიზმით ჩანაცვლდა (ბლუმბერგის

სისტემა). ამ სისტემით უკვე რთულია სავალუტო რეზერვების დინამიკაზე დაკვირვება. შეიძლება ითქვას, საქართველოში 2008 წლის კრიზისის ყველა დამახასიათებელი ნიშანი გამოიკვეთა ომის შემდგომ პერიოდში. ის ფაქტი, რომ ეკონომიკამ მეტ-ნაკლებად მდგრადობა შეინარჩუნა, სახელმწიფოს ბიუჯეტი არ შემცირდა და ფინანსური კოლაფსიც არ განვიცადეთ ძირითადად დონორთა ფინანსური დახმარებების წყალობით მოხდა, რომელიც რუსეთის აგრესიის გამო მივიღეთ. რაც შეეხება ანტიკრიზისულ ღონისძიებებს როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს საკმაო ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა.¹⁷

3.2. მოსალოდნელი კრიზისების საფრთხეები

ჯერ კიდევ 80-იან წლებში ამერიკელმა ეკონომისტმა ჰაიმან მინსკიმ (1919-1996) გამოიკვლია თანამედროვე ფინანსური სექტორის მოწყვლადობა. მისი მოსაზრებით ფინანსური სისტემა შინაგანად არასტაბილურია. ეკონომიკის აღმავლობასთან ერთად ბანკებს უჩნდებათ უფრო მეტი ფულადი სახსრები და გასცემენ იმაზე მეტს სესხს ვიდრე რეალურად შეუძლიათ დაიბრუნონ. როცა სპეკულაციური ფინანსები მეტისმეტად იზრდება, ეკონომიკური აგენტები აცნობიერებენ მის მასშტაბებს და ფინანსურ ბაზარზე იწყება პანიკა. ე.წ ფინანსური „ბუმტები“ სკდება.

მინსკის თქმით: კაპიტალისტური სისტემის არსებობის გარდაუვალი თანმდევი ეკონომიკური კრიზისი. თანამედროვე კრიზისის დადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე 2006 წელს ნურიელ რუბინი საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა სადაც იწინასწარმეტყველა, რომ მწიფდებოდა გლობალური ფინანსური კრიზისი. მან განაცხადა რომ მოსალოდნელი იყო კერძო საკუთრებაზე ფასების ვარდნა, რაც რეცესიასა და საფინანსო სისტემის კოლაფსს გამოიწვევდა. ამ პერიოდისთვის ფინანსურ

¹⁷ http://www.papava.info/publications/Papava_omis_shemdgomi_ekonomikuri_politika.pdf

სექტორში ინვესტორებს ოპტიმისტური მოლოდინები ჰქონდათ და ნურიელ რუბინის განცხადებას სერიოზულად არ შეხვდნენ.¹⁸

აშშ-ში რეიგანის მმართველობიდან მოყოლებული, პრეზიდენტები გამოდიოდნენ ინიციატივით ფინანსებზე რეგულაციების შერბილების სასარგებლოდ, რაც გაადვილებდა სესხების გაცემას. დღესაც დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში მოხდა ე.წ დოდ ფრანკის აქტი, რომელიც 2008 წლის ფინანსური კრიზისის საპასუხოდ შეიქმნა და გულისხმობდა საბანკო სექტორის შეზღუდვას სესხების გაცემასთან მიმართებაში. აქტის მიხედვით ბანკებს აკრძალა გაუმჭირვალე და რისკიანი სესხების გაცემა.

დღესდღეობითაც ფინანსურ ბაზრებზე ოპტიმიზმი სუფევს თუ არ ჩავთვლით იმას რომ 2008 წლის კრიზისიდან ზუსტად 10 წლის თავზე ნურიელ რუბინმა გამოაქვეყნა ნაშრომი Project Syndicate-ში, სადაც წერს მოსალოდნელი 2020 წლის ფინანსური კრიზისისა და რეცესიის შესახებ. მან დაასახელა 10 ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზი, რაც მსოფლიო ეკონომიკას კიდევ ერთხელ შეიყვანე რეცესიაში. მიზეზები შემდეგია:

1. ფისკალური პოლიტიკის არამდგრადობა_ამჟამად ამერიკის ეკონომიკა მაღალი ზრდით ხასიათდება და ფისკალური სტიმულები 2020 წლისთვის შედეგს აღარ გამოიღებს და დასრულდება ზრდა.

2. ამერიკის ეკონომიკის გადახურება_ ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს აჭარბებს, რაზეც ფედერალური სარეზერვო სისტემა რეფინანსირების განაკვეთის ზრდით პასუხობს. ეს ამყარებს დოლარის კურსს. ინფლაცია იზრდება სხვა ქვეყნებშიც და ისინიც იდენტურ ფულად საკრედიტო პოლიტიკას მიმართავენ. საპროცენტო განაკვეთზე ზეწოლა იზრდება.

3. მოსალოდნელია სავაჭრო დავების გამწვავება ჩინეთთან, ევროკავშირთან და მექსიკასთან. ეს ინფლაციის პროვოცირებასა და ეკონომიკური ზრდის შეფერხებას გამოიწვევს.

¹⁸ <https://1tv.ge/video/42-paraleli-2008-wlis-finansuri-krizisis-mizezebi/>

4. საგარეო ინვესტიციების შემცირებითა და უცხოეთში ტექნოლოგიების გატანის შეზღუდვით აშშ-ში მოხდება საწარმოო რგოლის დარღვევა. ეს კი შეამცირებს მიგრაციას აშშ-ში რაც ეკონომიკური ზრდისთვის ესაჭიროება.

5. ეკონომიკური ზრდა გლობალური მასშტაბით შემცირდება. სხვა ქვეყნები წინააღმდეგობას გაუწევენ აშშ-ს პროტექციონისტულ პოლიტიკას, ამ პოლიტიკის შედეგები კი განვითარებადი ქვეყნებზე აისახება.

6. ეკონომიკური ზრდის შენელება დააზიანებს ევროპას. ეს ხელს შეუწყობს ვალების ზრდას

7. აშშ-ს ფასები და მოგების კოეფიციენტები იქნება საშუალოზე 50%-ით მეტი. გაძვირდება სახელმწიფო ობლიგაციები დაბალი მომგებიანობის გამო. აშშ-ს კორპორაციული დაკრედიტება მიაღწევს ისტორიულ მაქსიმუმს და მსოფლიო მასშტაბით მოხდება უძრავ ქონებაზე ფასების ზრდა.

8. ბროკერები შეამცირებენ აქტივობას, ლიკვიდურობის რისკიდან გამომდინარე, ეს კი განვითარებად ქვეყნებს ფედერალური სარეზერვო სისტემის კრედიტთან წვდომას შეუზღუდავს.

9. ტრამპის მიერ ფედერალური სისტემის კრიტიკა 4%-იანი ეკონომიკური ზრდის გამო უფრო გამწვავდება ეკონომიკური ზრდის შემცირების კვალდაკვალ. აშშ-ს სავაჭრო დაპირისპირება ჩინეთთან კი კიდევ უფრო გაამწვავებს რეცესიას.

10. რეცესიის დადგომისას დადგება მასთან ბრძოლისთვის საჭირო სახსრების დეფიციტი. ინსტრუმენტები რომელიც 2008 წლის კრიზისის დროს გააჩნდათ აღარ იმოქმედებს 2020 წლის კრიზისის დროს.¹⁹

რუბინს თუ დავუჯერებდით მოსალოდნელი იყო 2008 წლის კრიზისზე ბევრად უფრო მწვავე და ხანგრძლივი კრიზისი. თუმცა ზემოთ მოყვანილი მიზეზები გადაფარა 2020 წელს მოულოდნელმა პანდემიამ, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკა ფაქტობრივად გააჩერა.

¹⁹ <https://agora.ge/new/27094-JPMorgan-momdevno-finansuri-krizisi-msoflioshi-2020-tsels-daitsyeba>

2020 წლის მოვლენებთან დაკავშირებით გაეროს მიერ შემოთავაზებულ ბოლო ანალიზს თუ დავეყრდნობით პანდემიის გამო გლობალური ეკონომიკური ზრდის მინიმუმ 2,5%-მდე შემცირებაა მოსალოდნელი, ხოლო მიყენებული ზარალი უკვე ტრილიონ დოლარს აღწევს. თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით როდის დამარცხდება პანდემია და რა რეალური დანაკარგები მოყვება მას.

თუ შევადარებთ 2008 წლის ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისისა და 2020 წლის პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგებს, არაერთი პარამეტრი აჩვენებს იმას, რომ მიმდინარე მოვლენები ბევრად მძიმე შედეგების მომტანი იქნება.

მიმდინარე გლობალურმა პანდემიურმა მოვლენებმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა და ეკონომიკური და ფინანსური ზარალი თითქმის ყველა ქვეყანას მიაღწა. განსაკუთრებით დაზარალებულნი ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყნები. მნიშვნელოვან შეფერხებას განიცდიან განვითარებადი ბაზრები და განვითარებადი ეკონომიკები, ვინაიდან ასეთი ქვეყნებიდან მაღალი რისკის და სავალუტო ზეწოლის გამო კაპიტალის უპრეცედენტო უკუქცევა ხდება. მძიმეა ის ფაქტიც რომ, ბევრი ქვეყანა აბსოლუტურად დაუცველ მდგომარეობაში შეხვდა კრიზისს და მაღალ დონეზე განვითარებულ ქვეყნებმაც კი ვერ მოახერხეს სწრაფი და ეფექტური რეაგირება და დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი განუხრელად გაიზარდა. მოწინავე ეკონომიკებიც ამჟამად რეცესიას განიცდიან.


2020 წელი მძიმე აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისთვის. როგორც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია პროგნოზირებს, მიმდინარე წლის კრიზისის შედეგები ბევრად უფრო მძიმე იქნება ვიდრე ეს იყო 2008-2009 წლის ფინანსური კრიზისის დროს.

პანდემიასთან და კრიზისთან ბრძოლა გაუჭირდა ისეთ განვითარებულ ქვეყანასაც კი როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია. 2020 წლის პირველივე კვარტლიდან შენელდა ეკონომიკური ზრდის ტემპი, ისტორიულ ნიშნულამდე დაეცა და უარყოფითი გახდა ნავთობის ფასები. გაუარესდა საწარმოთა მდგომარეობა და სამრეწველო პროდუქციის მწარმოებლებს მძიმედ დააწვა მიმდინარე მოვლენები. შემცირდა წამყვანი საფონდო ინდექსები.

მსგავსი მდგომარეობაა ევროზონაშიც, საზღვრების ჩაკეტვის გამო ტურიზმიდან შემოსავლის შემცირება მძიმედ დააწვა არაერთ ქვეყანას. ექსპორტის მოცულობა და ინვესტიციების მოცულობა შემცირდა. არასახარბიელო მდგომარეობაა ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც.

გრაფიკზე მოცემულია რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული ცვლილება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში 2008 წლის კრიზისისა და 2020 წლის პანდემიური მოვლენების დროს. განვითარებადი ბაზრების ეკონომიკის პროგნოზირებული ზრდა, როგორც ნახაზზე ჩანს -6.1%-ს შეადგენს. ხოლო შედარებით მოწინავე ქვეყნების ზარალი უფრო მცირეა თუმცა ისინიც უარყოფითი ზრდის ტემპით ხასიათდებიან და -1.0 % ია ნავარაუდევია. თუკი მსოფლიოდან ჩინეთის ეკონომიკას გამოვრიცხავთ უარყოფითი ზრდა 2,2 %-მდე ეცემა.


გრაფიკი 11: განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობა კრიზისის და ჩაკეტვის დროს



წყარო : IMF, World Economic Outlook (<https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/06/08>)

მეორე გრაფიკზე ნაჩვენებია მსოფლიოს ისეთი წამყვანი ქვეყნების მდგომარეობა, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია და ინდოეთი. როგორც მიმდინარე სურათიდან ჩანს, ყველაზე დიდი ზარალი ევროპის ქვეყნებსა და ამერიკას მიაღება, ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში კი სწორედ ის ქვეყანაა საიდანაც პანდემიური პროცესი დაიწყო. 2020 წლის მოვლენების ფონზე 170-ზე მეტ ქვეყანაში პროგნოზირებულია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები შემცირება. როგორ განვითარებად ისე განვითარებულ ქვეყნებში. რაც შეეხება ეკონომიკის გამოჯანმრთელების პროცესს 2021 წლიდან სავარაუდოა ისევ აღმასვლის დაწყება.

გრაფიკი 12: მთლიანი შიდა პროდუქტის განვითარების ტენდენცია



20

წყარო:IMF, World Economic Outlook (<https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/06/08>)

როგორც ჩანს 2020 წლის პანდემიური მოვლენები მსოფლიოს აყენებს სრულიად ახალი გამოწვევის წინაშე. ესაა კრიზისი, რომლის საფუძველიც განსხვავებულია ყველა

²⁰ იხილეთ:<https://blogs.imf.org/2020/04/14/the-great-lockdown-worst-economic-downturn-since-the-great-depression/>

სხვა წინამორბედი კრიზისისგან და მისი პროგნოზირება განსაკუთრებულად გართულებულია, ვინაიდან ჯერ კიდევ ცხადად არ ჩანს როდის დასრულდება პანდემია და როდის შეძლებს ეკონომიკა სრულად დაუბრუნდეს ჩვეული ფუნქციონირების რიტმს.


COVID 19-ის დასამარცხებლად არაერთი ისეთი პრევენციული ზომის მიღება გახდა საჭირო რომლებმაც მსოფლიო ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა. საზღვრების ჩაკეტვამ, ქალაქებს შორის მოძრაობის აკრძალვამ, სოციალურმა დისტანცირებამ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და ფაქტობრივად უმეტესი ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვამ ან აკრძალვამ შეიძლება ითქვას რომ გააჩერა მსოფლიო ეკონომიკის არათუ განვითარება, არამედ მთლიანად ფუნქციონირებაც.

უახლესი კვლევების თანახმად სართაშორისო ორგანიზაციები პროგნოზირებენ გლობალური ეკონომიკის შემცირებას სულ მცირე 3%-მდე. საქართველოში კი როგორც ვარაუდობენ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური შემცირება გვექნება და იგი დაახლოებით -4%-ს შეადგენს, საგადამხდელო ბალანსი კი გაორმაგდება და -10,5%-ს მიუახლოვდება.

პანდემიამ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზეც. ეს კი დიდწილად გამოწვეულია იმით, რომ კორონა ვირუსით დაზიანებული დარგების საქმიანობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. ამას გარდა ვინაიდან არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა რიცხვი საკმაოდ მაღალია და თვითდასაქმების მაჩვენებელი ფაქტობრივად დაქირავებით დასაქმებას უტოლდება, უმუშევრობის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი. ამ პროცესებმა ლარის სიმყარეზე უარყოფითად იმოქმედა, ვინაიდან ტურიზმიდან შემოსავლები და უცხოური გზავნილები მნიშვნელოვნად შემცირდა.

გრაფიკზე ნაჩვენებია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროგნოზი პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ. როგორც გრაფიკზე ჩანს 2020 წელს ნავარაუდები იყო მინიმუმ 5%-იანი ზრდა, თუმცა ვირუსის გავრცელებამ გამოიწვია ის რომ მიზნობრივი მაჩვენებელი -4%-მდე დაეცა. მიმდინარე პროგნოზით ნავარაუდებია, რომ 2021 წელს მდგომარეობა გაუმჯობესდება, თუმცა ცალსახად ამის თქმა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

გრაფიკი 13: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა (%)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიში 2020, მაისი

(<https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview>)

ამ პროცესებმა წინ წამოწია ადგილობრივი ბაზრის განვითარების საკითხი, ვინაიდან საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა, თუმცა მნიშვნელოვანია თუ რის ხარჯზე მოხდება ეს. ვინაიდან მთავრობა ძირითადად გარედან სახსრების მოძიების გზით ცდილობს ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას.

2020 წლის კრიზისმა განსხვავებით სხვა კრიზისებისგან დღის წესრიგში განსაკუთრებით ჯანდაცვის სექტორის ფუნქციონირება დააყენა. ყველაფერი დანარჩენი ამ სფეროზე გახდა დამოკიდებული. ვინაიდან დაავადებულთა რიცხვი სტაბილურად იზრდება საქართველოს მედიცინა წარმატებით უმკლავდება ვირუსს. თუმცა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში სპეციალიზებული პერსონალის, პალატებისა და სამედიცინო აპარატურის დიდი რეზერვების არსებობაა საჭირო, რაც საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას.²¹

COVID-19-ის გავრცელების ფონზე ლარი დოლარის და სხვა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ მნიშვნელოვნად გაუფასურდა. ქვეყანაში გაიზარდა წარმოების დანახარჯები და ამან ბევრ პროდუქტზე ფასების ზრდაც გამოიწვია.

²¹ https://www.ibanknevis.com/?gclid=EAlaIqobChMI5tHmqKG86gIViOmyCh024AA-EAAYASAAEgIGOPD_BwE, world bank

ეროვნულმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი 2020 წლის აპრილის თვეში 8.5 % ნიშნულამდე დაწია, რათა ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობა გაეზარდა. დღევანდელი მდგომარეობით მომავალის ზუსტი პროგნოზი შეუძლებელია, თუმცა თუ კი დავეყრდნობით მიმდინარე მოვლენებს ეკონომიკური ზრდა დაახლოებით -4%-იან უარყოფითი ნიშნულის სიახლოვეს უნდა იყოს.

მიმდინარე მოვლენებმა მოთხოვნის მკვეთრი შემცირება გამოიწვია, რასაც წესით ინფლაციის შემცირებაც უნდა გამოეწვია, მაგრამ ვინაიდან ქვეყნებიდან კაპიტალის ნაკადების გადინება ხდება, კურსზე უარყოფითი ზეწოლა ბევრად აღემატება, მოთხოვნის ეფექტით გამოწვეულს. ინფლაცია ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრილია და სავარაუდოდ ისევ დარჩება 6%-ის ფარგლებში, ვინაიდან მიწოდების მხარეს არსებული უარყოფითი ფაქტორები მოთხოვნის ეფექტს ფარავს.

განსხვავებით სხვა კრიზისებისგან ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომლითაც ქვეყნების მთავრობები ეკონომიკაზე მძიმე დარტყმების არიდებას უნდა ცდილობდნენ შეზღუდულია კრიზისის სპეციფიკური ხასიათის გამო. ეროვნული ბანკი რთული გადაწყვეტილების წინაშე დგას, ვინაიდან ერთის მხრივ ინფლაციასთან საბრძოლველად მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებაა საჭირო, ხოლო მეორეს მხრივ მოთხოვნის შესამჩნევი ვარდნა მოითხოვს საპროცენტო განაკვეთის დაწევას. ეროვნული ბანკი აპირებს ინფლაციის მოლოდინების შემცირების შემდგომ მოახდინოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის დაწევა. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მდგომარეობაში წინასწარ განუსაზღვრელია მომავლის პროგნოზი და შესაძლოა ინფლაციის კიდევ უფრო მაღალ ზრდას ველოდოთ. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის გაზრდაც იქნება საჭირო პროცესის დასარეგულირებლად.

COVID-19 ის ეფექტის შესამცირებლად ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. კერძოდ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისთვის ლიკვიდური ფინანსური სახსრების მიწოდება, დროებითი საზედამხედველო გეგმის შემუშავება და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის გაფართოება. განვიხილოთ თითოეული:

ლიკვიდური სახსრების მიწოდება- ცენტრალური ბანკის ერთ-ერთ ძირითადი ფუნქცია სწორედ ფინანსური სექტორისთვის ლიკვიდობის შეუფერხებელი უზრუნველყოფაა. ჩვენს შემთხვევაში უცხოური ვალუტის ჭარბი ლიკვიდობა აღნიშნება.

თანაც გაზრდილია მოთხოვნა ლარზე. ეროვნულ ბანკს უცხოური ვალუტის ლიკვიდობის მიწოდებასთან დაკავშირებით საერთაშორისო რეზერვების გამოყენება ესაჭიროება, ხოლო ეროვნული ვალუტის ლიკვიდობის მიწოდება შეუზღუდავად შეუძლია.

ლარზე მოთხოვნის ზრდა რამდენიმე ფაქტორმა ერთდროულად განაპირობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის, რომ კომერციულმა ბანკებმა 3 თვიანი საშეღავათო პერიოდი დაუწესეს მსესხებლებს, რამაც ლარის ნაკადების მოძრაობა შეამცირა და ამან ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაზრდა. ამან ეროვნული ბანკის მხრიდან რეგულაციების საჭიროება გამოიწვია. მეორეს მხრივ ვინაიდან ვირუსის გამო კერძო პირებსა და ბიზნესებს შეეზღუდათ მოქმედების არეალი მათი მხრიდანაც მოთხოვნა ლარზე მკვეთრად გაიზარდა. ამას გარდა ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევიდან ლარი ამოიღო სავალუტო ინტერვენციების გზით. ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს სვოპ ოპერაციებით მიაწვდის ლიკვიდობას. კერძოდ დაგეგმილია 400 მლნ აშშ დოლარის მიწოდება.

დროებითი საზედამხედველო გეგმა - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციით, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის ცენტრალური ბანკი და სხვა, ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა საზედამხედველო გეგმა. კომერციულ ბანკების მომგებიანობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტაბილურად მომგებიანია და უიმედო სესხების პორთფელის მოცულობის წილი საკმაოდ დაბალია მთლიან პორტფელში. ადრე გატარებული დედოლარიზაციის პოლიტიკამ ამ მხრივ შედეგი გამოიღო და ვინაიდან ფიზიკური პირების მიერ უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების რაოდენობა ბევრად დაბალია, რაც მიმდინარე კურსის პირობებში მძიმედ დააწვებოდა ქვეყანას.

საზედამხედველო გეგმაში გათვალისწინებულია კომერციული ბანკების კაპიტალის მოთხოვნების შემსუბუქება. ეს გულისხმობს იმას რომ კომერციულ ბანკებს 4 მილიარდი ლარის კაპიტალის გამოთავისუფლება შეეძლებათ, გარდა იმ მინიმალურად დაწესებული ნორმისა. ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკების მიმართ სესხების დაფარვის

პოლიტიკაც უფრო შერბილებული გახადა, ვინაიდან 3 თვიანი საშელავათო პერიოდის დაწყების პასუხად, მოქნილობა შეენარჩუნებინათ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა - საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მიერ არაერთი გამართული შეხვედრის შემდეგ მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყანას ფინანსურად დაეხმარება. 2020 წლის აპრილის პერიოდში უცხოურ პარტნიორებთან ერთად მოხდა პანდემიასთან ბრძოლის წინააღმდეგ გეგმის შემუშავება და სწრაფად მოხდა დონორების მიერ სახსრების მობილიზება. აღნიშნული სახსრების გახარჯვა დაგეგმილია როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებებისთვის ასევე სოციალური და ეკონომიკური საჭიროებისთვის.²²

კორონა ვირუსმა გარკვეული პოზიტიური ეფექტი გამოიღო იმ მხრივ რომ მთავრობამ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის პოლიტიკა დაიწყო. თუმცა ამასაც არ აქვს ცალსახად დადებითი შედეგი, ერთის მხრივ იმის გამო, რომ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის გეგმაში არ არის რაიმე არსებითად მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოებას გაზრდიდა. ამას გარდა ბაზრების გახსნის შემდეგ ადგილობრივი მეწარმეები ვერ გაუწევენ კონკურენციას უფრო იაფ იმპორტულ საქონელს და ადგილობრივი ბაზარი აღმოჩნდება რთულ მდგომარეობაში და შესაძლოა წარმოების შეწყვეტამდეც მივიდნენ, თუ რა თქმა უნდა იმპორტის შემზღვეველ პოლიტიკას არ გაატარებს. ფაქტობრივად კორონავირუსთან ბრძოლაში სახელმწიფო შეიძლება ითქვას რომ გაუცნობიერებლად ებრძვის კიდევ ნეოლიბერალიზმს.

მნიშვნელოვანია იმ ფინანსური დახმარების საფრთხეებზე საუბარი, რაც პანდემიით გამოწვეული კრიზისისგან თავის დასაღწევად მიიღო საქართველომ. კერძოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებულ იქნა 3,5 მილიარდი ლარი. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ხელს უწყობენ საქართველოს რათა შემუშავებულ იქნას ოპტიმალური გეგმა. აქ ჩნდება კითხვა,

²² <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3901>

მსოფლიო განუზღვრელობის პირობებში რატომ გვიბიძგებენ მსოფლიო დონის ორგანიზაციები ეკონომიკის სტიმულირებისკენ. მიზეზი ისაა, რომ არ მოხდეს საერთო დანახარჯების მკვეთრი შემცირება. ამას გარდა საქართველოს უცხოური კაპიტალის დიდი წილი უცხოურზე მოდის და არა ქართულზე, რაც სტაბილიზაციისკენ უბიძგებს ქვეყანას.

2008 წლის კრიზისისა და ომის პირობებში მიღებული 4 მილიარდის ოდენობის დახმარების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია დღესაც არ არსებობს. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ამჯერად გამჭირვალედ მოხდეს თანხის ხარჯვა. მთავრობის შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმას თუ ვნახავთ ესაა უშუალოდ კრიზისთან ბრძოლის მოკლევადიანი გეგმა და არა პოსტკრიზისული. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მკაფიოდ წარმოადგინოს გეგმა, რაში ხდება უშუალოდ მოზიდული თანხის ხარჯვა. ცნობილია ის, რომ თანხის მიწოდება ბანკების მეშვეობით მოხდება და საბანკო სექტორი იქნება ბიზნესისთვის ფულის მიწოდების შუალედური რგოლი. ამ შემთხვევაში საბანკო სექტორი უფრო მოტივირებული იქნება დააფინანსოს რეალური სექტორი.

რეალურ სექტორში ფულის ჩადინებას შეიძლება მოყვეს მეურნეობის გამსხვილება, რაც მონოპოლისტურ რისკებს შეიცავს, ან პირიქით უკიდურესად დაწვრილება, რამაც შესაძლოა არაეფექტიანობა წარმოშვას. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა ეფექტიანობის შენარჩუნება. ამ შემთხვევაში უცნობია რამდენ ხანს გასტანს კრიზისი, თუ მოკლე ვადაში მოხდა მისი დაძლევა სახელმწიფოს სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკა, რომ დაეხმაროს მცირე მეურნეებს ეფექტური იქნება, თუმცა თუ კრიზისი მოკლე პერიოდში არ აღმოიფხვრა საჭირო გახდება სხვა ზომების მიღება.

ახალმა კრიზისმა სახელმწიფოს როლი აქტიურად წამოწია წინ. გატარდა გადასახადების შემცირების პოლიტიკა, რათა ბიზნესებს გაადვილებოდათ კრიზისის დაძლევა და შეენარჩუნებინათ სამუშაო ძალა. თუმცა მომავალში აღნიშნული შეღავათის ამოღება გახდება საჭირო, ამ შემთხვევაში მსჯელობა იქნება პროგრესულ საგადასახადო სისტემის შემოღებაზე.

საბოლოო ჯამში ახალმა კრიზისმა ცხადად აჩვენა საქართველოს ეკონომიკის ნაკლოვანებები და ეს ნაკლოვანებები თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ჩვენი ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა უცხოურ გზავნილებზე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და ტურიზმიდან შემოსავალზე. ამ ყველაფრის შეჩერებამ კი ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა და ფასების ზრდა გამოიწვია. ამას გარდა, ქვეყანა საგარეო ვალის აღების გარეშე ფაქტობრივად ვერ მოახერხა რესურსების მობილიზაციას ქვეყნის შიგნით. რაც შეეხება ანტიკრიზისულ გეგმას იგი გარკვეულწილად პრობლემების გადავადებას ახდენს. სესხების რესტრუქტურია მხოლოდ დროებით ახდენს პრობლემის გადავადებას და ვერ აგვარებს მას. ამას გარდა ვინაიდან კომერციული ბანკების გავლით ხდება ბიზნესისთვის ფულის მიწოდება წარმოიქმნება სხვადასხვა პრობლემები. ვინაიდან ბანკი მოგებაზეა ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესს მუდმივად აქვთ სესხზე წვდომის შეზღუდვები და ხდება ნაკლებად რისკიანი ბიზნესების დაფინანსება. ზოგიერთ ქვეყნებში არსებობს განვითარების ბანკები, რომელთა პრიორიტეტი არ არის მოგების მიღება. ასეთი ორგანიზაციები აფინანსებენ საკმაოდ რისკიან პროექტებს და დაბალ პროცენტში.

ეროვნული ბანკის ძირითადი მისია, რომელიც დომინანტურ მიმართულებად იქცა 90-იანი წლებიდან, ინფლაციის თარგეთირებაა, რაც გულისხმობს ფასებისა და ინფლაციის გარკვეულ მიზნობრივ მაჩვენებელზე შენარჩუნებას. ამოსავალ წერტილად ინფლაციის სტაბილურობის დადგება უკანა პლანზე წევს სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ მიზნებს, როგორცაა მაგალითად დასაქმების ხელშეწყობა. ეროვნული ბანკი ასევე არაა ვალდებული ჩაერიოს ვალუტის სტაბილიზაციაში ან ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაში, თუ მას ინფლაციური ხასიათი არ აქვს. თუ კორონა ვირუსთან კავშირში განვიხილავთ ლარის სტაბილურობის პოლიტიკას, საქართველოში განსაკუთრებით მაღალია დოლარიზაციის დონე და იმპორტდამოკიდებულება, რის გამოც შიდა ინფლაციის გარდა, იმპორტულ ინფლაციაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ვინაიდან გლობალური კრიზისის პირობებში შემცირდა ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ამან უარყოფითად იმოქმედა ლარის

სტაბილურობაზე. როგორც ვთქვით ეროვნული ბანკი უშუალოდ არაა პასუხისმგებელი ლარის კურსის სტაბილურობაზე, თუმცა 2020 წლის პანდემიის პირობებში გადაუხვიეს ამ მანდატს და ლარის დასასტაბილურებლად 100 მილიონი დოლარი გაყიდა აუქციონზე. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა სტაბილურობის შესანარჩუნებლად, თანაც ეროვნული ბანკის ხელთ არსებული რეზერვები და მისი მოქმედების არეალი შეზღუდულია. სახელმწიფო სხვადასხვა გზებით ცდილობს სტაბილიზაციის შენარჩუნებას, თუმცა ძირითადად მოკლევადიან შედეგებზეა ორიენტირებული. მაგალითად ნაღდი ფულით ეხმარება ოჯახებს, თუმცა რა თქმა უნდა ეს არ არის პასუხი კრიზისზე და არის პრობლემის დროებითი მოხსნის მცდელობა.

საჭიროა სახელმწიფომ განახორციელოს ისეთი ინვესტიციები, რომელიც მოიტანს გრძელვადიან შედეგებს და მოახდენს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შესაბამისად შემოსავლის გაჩენას მოსახლეობისთვის.

მიმდინარე მოვლენებმა აჩვენა, რომ ქვეყანას არ გააჩნია შესაბამისი ინსტრუმენტები რათა გაუმკლავდეს მსგავსი მასშტაბის ეკონომიკურ კრიზისს და დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის სტრუქტურის გადაწყობის საკითხი, რათა მოხდეს მომავალ კრიზისთან გამკლავების გეგმის შემუშავება. საჭიროა კარგად იქნეს გააზრებული თუ რა ვალდებულებას იღებს ქვეყანა ამის სანაცვლოდ, რათა უფრო ღრმა კრიზისში არ ჩავვარდეთ უფრო დიდ საგარეო ვალდებულებასთან ერთად.

უახლესმა კრიზისმა ცხადი გახადა ის, რომ ეკონომიკური მოდელი, რომელსაც იყენებდა ქვეყანა, რათა გამხდარიყო მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი აღმოჩნდა უუნარო. უკვე არსებული დიდი უმუშევრობა და სოციალური უთანასწორობა კიდევ უფრო გაღრმავდა. უახლესმა კრიზისმა გამოკვეთა, რომ საქართველოში ბიზნესი არის იმდენად მოწყვლადი, რომ უჭირს სამუშაო ძალის შენარჩუნება 1 თვის ვადითაც კი.²³

2020 წლის კრიზისმა ეროვნული ბანკის პრიორიტეტების გადახედვის საჭიროებაც გამოკვეთა. კორონა ვირუსმა აჩვენა შემოსავლების დაზღვევის საჭიროებაც, ვინაიდან უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო. ასევე რთული აღმოჩნდა სოციალური დახმარების

²³ <https://emc.org.ge/ka/products/ekonomikuri-politika-krizisis-dros-interviebi-ekonomikis-mkvlvrebtan>

სისტემაში ჩასართავი პირების იდენტიფიცირება, ვინაიდან თვითდასაქმების დონე ძალიან მაღალია ქვეყანაში. ცხადი გახდა, რომ არსებული სისტემა, რომელიც საარსებო შემწეობას გასცემს არ მუშაობს შესაბამისად. საუბარი დაიწყო უმუშევრობის შემწეობის დანერგვაზე. ესაა მექანიზმი, რა დროსაც პირი აქტიურად ეძებს სამუშაოს და დასაქმების სააგენტო ხელს უწყობს ამაში. ჩვენს შემთხვევაში კი სახელმწიფო დონეზე თითქმის ვერ ხერხდება დასაქმებულთა დიდი ნაწილის აღრიცხვა, ვინაიდან არაფორმალური სამუშაოებით დაკავებულია ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი.

დღესდღეობით სახელმწიფოს არ აქვს გრძელვადიანი გეგმა, კერძოდ არ გვაქვს პასუხი იმაზე თუ სად ვიქნებით 10 წლის შემდეგ. შესაბამისად ვერ ხდება იმის სწორად განსაზღვრა, რაში უნდა დაიხარჯოს ფული, რა იქნება მომავალში მოთხოვნადი და სად უნდა მოვახდინოთ ფინანსური რესურსის მობილიზაცია. ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელიც შემოდის ქვეყანაში ძირითადად ისეთ სფეროებზეა მიმართული, რომელსაც არ ქმნის ეკონომიკურ დოვლათს და არ მოაქვს რაიმე ახალი სარგებელი.

ცალსახაა ის, რომ კრიზისის დასაძლევად აუცილებელია ქვეყანაში არსებული ყველა ინსტიტუტი კოორდინირებულად მოქმედებდეს. მიმდინარე კრიზისის პირობებში კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთავრობისა და ეროვნული ბანკის კოორდინირებული მოქმედება. ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე საქართველოსთვის ეს საკმაოდ რთულად შესასრულებელია. ეროვნულმა ბანკმა შესაბამისი სტიმულირების ინსტრუმენტებით (გაცვლითი კურსის რეგულირება, სავალუტო ბაზარზე ინვესტიციები, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება) ხელი უნდა შეუწყოს დასახული გეგმის განხორციელებას. თუმცა ეროვნული ბანკი ვერ ახერხებს აყვეს სამთავრობო პოლიტიკას, რადგან მისი სავალუტო რეზერვების დიდი ნაწილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფულადი რესურსია და ცხადია ხელფეხშეკრულია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან და მხოლოდ შეზღუდული არეალით მოქმედებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას მოუწოდებს ეკონომიკის სტიმულირებისკენ, თუმცა მეორე მხრივ ეროვნულ ბანკის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებზე გავლენა აქვს და აფერხებს მათ გამოყენებას კრიზისის დაძლევისთვის.

თუ მთავრობისა და ეროვნული ბანკის პოზიციებს დავაკვირდებით, მათი განცხადებები ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტს იძლევა. ეროვნული ბანკის დირექტორის უახლესი გამოსვლიდან, სადაც მან ისაუბრა ინფლაციის საშიშროებაზე, ისინი არ აპირებენ საპროცენტო განაკვეთის შემცირებას (რაც გააიფხვებდა სესხებს), რათა შეაკავონ ლარის კიდევ უფრო მეტად გაუფასურება. მეორეს მხრივ ფინანსთა მინისტრი საუბრობს ეკონომიკის სტიმულირებაზე. ეს ორი პოლიტიკა, კი ფაქტია, რომ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. ამას გარდა ეროვნული ბანკი ატარებს უცხოელი ინვესტორებისთვის ხელსაყრელ პოლიტიკას, რათა საქართველოდან კაპიტალის გატანას არ ქონდეს ადგილი, მეორეს მხრივ კი მთავრობა ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობას ცდილობს. ასეთი წინააღმდეგობრივი ქმედებები ცხადყოფს, რომ გრძელვადიან გეგმაზე საუბარი არ არის. ანტიკრიზისულ გეგმას და ეკონომიკის სტიმულირებას კი უკან არ უდგას მყარი მექანიზმი.

კრიზისის მოკლევადიან პერსპექტივაში დასაძლევად საჭიროა შემცირდეს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რათა სესხებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს. მეწარმეებს და განსაკუთრებით მცირე ბიზნესის მფლობელებს აქვთ ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტი. დაბალპროცენტიანი სესხები კი გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას. გრძელვადიან ჭრილში თუ შევხედავთ მნიშვნელოვანია ეკონომიკის რესტრუქტურირზაცია, რათა ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული გარე წყაროდან მოზიდულ რესურსებზე: უცხოურ ინვესტიციებზე, ტურიზმზე და უცხოურ გზავნილებზე. ეს სავაჭრო ბალანსის მუდმივ დეფიციტს იწვევს.

დღეს საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს, რომ ვირუსის დასრულების შემდგომ უკეთესი პოზიცია დაიკავოს გლობალურ ეკონომიკაში, თუმცა რამდენად რეალისტურია ეს გეგმა ეჭვის ქვეშ დგას. ქვეყანამ, რომელსაც სურს გლობალურ კონკურენციაში ჩართვა და თანაც წამყვანი ქვეყნებისთვის კონკურენციის გაწევა, 1 თვის ვადითაც ვერ მოახერხა სამუშაო ძალის შენარჩუნება. თუმცა თუკი ამ ყველაფერს დადებითი კუთხით შევხედავთ კრიზისი ჩვენს შემთხვევაში შესაძლოა პოზიტიური

ეფექტების მომტანიც იყოს, კერძოდ მოხდეს გადახვევა იმ ინერციიდან რასაც მიყვება ქვეყნის ეკონომიკა და მოხდეს ახლებური განვითარების გეგმის დასახვა.

უახლესი ფინანსური კრიზისის ფონზე აქტუალური გახდა კრიზისიდან თავდაცვის ახალი გზების ძიება. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ეკონომისტთა ნაწილი ციფრულ ეკონომიკას მიიჩნევს. განვითარებადი ქვეყნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციების ათვისება და მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შეძლებისდაგვარად ფეხის აწყობა.

ნელ-ნელა უფრო მეტად იზრდება ელექტრონული კომერცია, ციფრული ტექნოლოგიებით და კომპიუტერიზებული სისტემებით მართვა. ფირმებმა მუდმივად უნდა იზრუნონ ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე და თავადაც იყვნენ ინოვატორები. ეს ზრდის ეკონომიკის წარმოების პოტენციალს და ამაღლებს ზრდის ტემპს.

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით ევროპის განვითარებული ქვეყნებიც ისეთი ქვეყნების მიმდევრები არიან ციფრული ტექნოლოგიების დანერგვაში როგორცაა აშშ, შვედეთი. სტატისტიკას თუ შევაფასებთ განუხრელად იზრდება ციფრულ ტექნოლოგიების მიმართულებით დასაქმებულთა რიცხვი, მსოფლიოში პროგრამისტთა რიცხვი 2019 წლისთვის 25 მილიონს აღწევს. მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად ახდენენ ინვესტირებას თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისთვის. ციფრული მეწარმეობის მხარდასაჭერად ევროკომისიამ 5 მიმართულება გამოყო:

- ციფრული განათლების სისტემა
- ციფრული ბიზნეს გარემოს სტიმულირება
- ფინანსებთან გამარტივებული წვდომა
- ციფრული მხარდაჭერა
- ციფრული სამეწარმეო კულტურის დანერგვა

აღნიშნული პროცესის ფეხდაფეხ აყოლა მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე მაღალ ზრდას უზრუნველყოფს. განვითარებად ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს

პოტენციალი აქვთ 18-20% იანი ეკონომიკური ზრდისაც კი. თუმცა საქართველოში არაერთი ბარიერი არსებობს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებისთვის.²⁴

საერთაშორისო ორგანიზაცია დელოიტის კვლევის თანახმად განვითარებად ქვეყნებში და არამარტო, არსებული ბარიერის დასაძლევად საჭიროა ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება, მისი რეკლამირება, გაცვლითი პროგრამების ორგანიზება, ყველანაირი ინოვაციის დანერგვისას მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება და ახალგაზრდათა ჩართვა აღნიშნულ პროცესში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ირაკლი კოვზანაძის მიერ დაწერილ იქნა მონოგრაფიული კვლევა სახელწოდებით: „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილები და განვითარების ახალი მოდელის ფორმირება“

ავტორის აზრით 21-ე საუკუნის კრიზისი წლების განმავლობაში მწიფდებოდა და საბოლოოდ გამოვლინდა უდიდესი ფინანსური ინსტიტუტების ჩამოშლაში. მისი მოსაზრებით კრიზისთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს კოორდინაცია და თითოეული რეგიონის სტაბილურობის განმტკიცება. კვლევაში გაანალიზებულია ეკონომიკის კრიზისული განვითარების ტენდენციები და დახასიათებულია პოსტკრიზისული ეკონომიკა.

კრიზისის შემდგომ ქვეყნებს ახასიათებთ ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე, სახელმწიფო ფინანსების არასახარბიელო მდგომარეობა, ფასების ზრდა. სუსტი და არამყარი ეკონომიკური ზრდა თავადვე მოიცავს მაკროეკონომიკურ დისპროპორციებს. სახელმწიფომ უნდა შექმნას მექანიზმი, შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც ქვეყნის სტაბილურობის გარანტი.²⁵

²⁴ იხილეთ:<http://forbes.ge/news/1007/cifruli-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlis-inovaciuri-gza>

²⁵ http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=29114

დასკვნა

საბოლოოდ შეძლება დავასკვნათ, რომ კრიზისი რთული და კომპლექსური მოვლენაა და იგი საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაკლია. კრიზისის გამომწვევი ფაქტორები მიზეზის დადგენა ძალიან რთულია, ვინაიდან მასზე არაერთი ფაქტორი ზემოქმედებს. ამის მიუხედავად საკმარისადაა განვითარებული ეკონომიკური თეორიები და დაგროვილია პრაქტიკული გამოცდილება, რათა მოხდეს მომავალში მოსალოდნელი კრიზისის განჭვრეტა და მისი შეძლებისდაგვარად თავიდან არიდება. იმის საფუძველს, რომ კრიზისის არიდება შესაძლებელია გვაძლევს თუნდაც ფაქტი, რომ 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი წინასწარ, ცოტა ხნით ადრე იყო ნაწინასწარმეტყველები. უფრო მეტიც, წლებით ადრე არსებობდა კრიზისის თეორია, რომელიც თითქმის ზედმიწევნით გამეორდა.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ღონისძიებების როლი, რომლის მიზანაც ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება უნდა იყოს. აუცილებელია ფინანსური სისტემის გამართული მუშაობა და რისკების მაქსიმალურად დაზღვევა. რაც უფრო გლობალიზებულია ქვეყანა, მით უფრო მწვავედ ეხება კრიზისის დამანგრეველი შედეგები. ამიტომ უმნიშვნელოვანესია თითოეულმა ქვეყანამ იზრუნოს თავისი რეალური და ფინანსური სექტორის სიმყარეზე, რათა არ იყოს მოწყვლადი და უმტკივნეულოდ გადაიტანოს კრიზისული პერიოდები.

ეკონომისტთა ნაწილი უკვე დიდი ხნის განმავლობასი საუბრობენ მომავალში მოახლოებული კრიზისის საფრთხის შესახებ, რადგან ბოლო გლობალური კრიზისიდან 10 წელი გავიდა და ეს სწორედ ის პერიოდია რა დროშიც ციკლები განმეორებითობით ხასიათდებიან. 2020 წლის მოულოდნელმა მოვლენებმა, რომელმაც ფაქტობრივად გააჩერა

მთელი მსოფლიოს ეკონომიკის ფუნქციონირება, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის სწორად მართვის აუცილებლობას. მსოფლიო უდიდესი კრიზისის განიცდის და ჯერ კიდევ ცხადად არ ჩანს რა შედეგებს მოუტანს მსოფლიო ეკონომიკას ეს მდგომარეობა. თუმცა ცხადია საჭიროა მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მაქსიმალური მობილიზება, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შეთანწყობა და საბანკო სისტემის რეგულირება, რათა თავიდანვე მოხდეს კრიზისის თავიდან არიდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცხადია, რომ უდიდესი გიგანტებიც კი უძლური იქნებიან გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის წინაშე.


გამოყენებული ლიტერატურა

1. ბლანშარი ო. „მაკროეკონომიკა“, თსუ გამომცემლობა, თბილისი - 2010 წ.
2. პაპავა ვ. „გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ომის შემდგომი საქართველოს პრობლემები“, თბილისი - 2009 წ.
3. მექვაბიშვილი ე., „თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები“. თბილისი - 2012 წ.
4. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი უ., „ეკონომიკა“. თბილისი - 2000 წ.
5. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი - 2010 წ.
6. ხადური ნ., ჩიქობავა მ., კაკულია ნ., ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა, ლექციების კურსი - რიდერი, 2013 წ.
7. Arthur F. Burns, The Business Cycle in a Changing World, National Bureau of Economic Research, 1969
8. Population and Economics Publication: Coronavirus crisis and Its affects on the economy; Published: 22 April, 2020
9. Global Development and Environment Institute Working Paper 12-06: How to Prevent the Next Crisis? How to Reorient Finance?
10. Kydland Finn and Prescott Edward, Contribution to Dynamic Macroeconomics: The Time Consistency of Economic Policy and the Driving Forces Behind Business Cycles, Advanced information on the Bank of Sweden Prize in Economic Sciences in Memory of Alfred Nobel, 11 October, 2004
11. http://www.sfu.ca/~bkrauth/econ808/808_lec5.pdf Real Business Cycles, Chapter 5 (5.1)
12. <https://www.stlouisfed.org/~media/files/pdfs/great-depression/the-great-depression-wheelock-overview.pdf>

13. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_2/1.pdf
14. <http://www.tabula.ge/ge/story/53542-vin-beravs-bushteb>
15. <http://european.ge/> Anwar Shaikh “Globalization and the myth of free trade (2007)
16. <https://www.youtube.com/watch?v=e8rt8RGjCM> Cliff Bowman (2009)
17. http://www.sfu.ca/~bkrauth/econ808/808_lec5.pdf
18. <http://forbes.ge/news/1007/cifruli-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlis-inovaciuri-gza>
19. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=29114
20. <https://www.radiotavisupleba.ge/a/2093753.html>
21. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1561043.html>
22. https://www.nbg.gov.ge/bankjournal/uploads/journal/2014_2/1.pdf
23. <http://www.parliament.ge> ,2017
24. http://economcrisis2009.blogspot.com/2009/08/blog-post_7051.html
25. [პრტპს://www.საპაზარო-ეკონომიკის-საქართველო-ეკონომიკური-პოლიტიკა.გე](#)
26. <https://1tv.ge/video/42-paraleli-2008-wlis-finansuri-krizisis-mizezebi/>
27. <https://agora.ge/new/27094-JPMorgan-momdevno-finansuri-krizisi-msoflioshi-2020-tsels-daitsyeba>
28. <https://blogs.imf.org/2020/04/14/the-great-lockdown-worst-economic-downturn-since-the-great-depression/>
29. <http://forbes.ge/news/1007/cifruli-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlis-inovaciuri-gza>
30. [პრტპს://www.რესონანსული-ეკონომიკის-საქართველო-ეკონომიკური-პოლიტიკა.გე](#)
31. <https://www.youtube.com/watch?v=fGoB3T1kTW0>
32. [პრტპს://www.საპაზარო-ეკონომიკის-საქართველო-ეკონომიკური-პოლიტიკა.გე](#)
33. [პრტპს://www.საპაზარო-ეკონომიკის-საქართველო-ეკონომიკური-პოლიტიკა.გე](#)
34. <https://www.economist.com/finance-and-economics/2020/05/16/how-to-fight-an-economic-crisis-in-a-monetary-union>


დანართი

გრაფიკი 1




გრაფიკი 2

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი



გრაფიკი 3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



გრაფიკი 4

ფულადი გზავნილები

